პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
ოთხშაბათი
16 დეკემბერი
№ 288 (18230)
ფასი 2 კაპ.

ოსტნეულიდან — თელ ნელიწადს

3 ამთარია. ღამღამობით ყინავს კიდეც, მაგრამ ბოსტნეულის კონვეიერი „მინდორი-ტრანსპორტი-მაღაზია“ ჯერ კიდევ მოქმედებს. რესპუბლიკის მებოსტნეობის მეურნეობები ქალაქებში ზამთრის გრაფიკით გზავნიან მწვანილს, კომბოსტოს, ისპანახს, სტაფილოს, ჭარხალს, კიტრს, პამიდორსა და სხვა ვიტამინიან პროდუქციას. ბოსტნეულის კონვეიერი რომ ასე რიტმულად მუშაობს, ამას ექსპედიციონერებმა შეუწყეს ხელი. მათ მიერ გამოყვანილი და რესტორანებში დარაიონებული საგვიანო ჯიშების ბოსტნეულის აღება მაღაზიებში შემოზიდვა იანვრამდე გასტანს. შემდგომ კი ადგილობრივი გრუნტის პროდუქციასთან ერთად მომხმარებელი ხილეულს ულიკვიდ მიიღებს ზამთრის მარაგიდან. ზამთრისათვის ინახავებში შენახულია შარშანდელზე მეტი: 3 ათასი ტონა ხახვი, 3,600 ტონა კომბოსტო და სხვ. უშუალოდ წარმოების ადგილებში ინახავებში შენახულია 18 ათასი ტონა თესლოვანი ხილი.

ამას მოწმობს, რომ რესპუბლიკის მებოსტნეები, რომლებმაც ანგარიშვანდელზე 8 ათასი ტონით მეტი ბოსტნეული დაამზადეს და ეკონომიკურ წელთან შედარებით ერთიორად გაზარდეს ვიტამინიანი პროდუქციის წარმოება და მოსახლეობისათვის მიწოდება, კონკრეტულ საქმეებით უპასუხებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმის გადაწყვეტილებებს.

ცნობილია, მებოსტნეებმა წლიური გეგმა შეასრულეს, მაგრამ მათ ეს უნდა შეეახსენოთ IV პლენუმზე ხაზგასმით ნათქვამი, რომ ამ მნიშვნელობა ენიჭება ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადებისა გადიდებას, რომელიც, თუ საკმარისი რაოდენობით (300 ათასი ტონა) დამზადდა, საშუალებას მოგვცემს რამდენადმე გავაუმჯობესოთ რესპუბლიკის სასურსათო ბალანსი.

პლენუმის ეს მითითება მებოსტნეებს ავალებს წლის ბოლომდე მოსულ დროში მოიკრიბონ ძალები და უზრუნველყონ მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმი, რათა არა მარტო გადააჭარბონ საგეგმიჯნას, არამედ ვალდებულებაც შეასრულონ.

ეს უაღრესად საჭიროა თავიანთი მეცადინეობა გააერთიანონ ბოსტნეულის მეურნეობის, გადამმუშავებელი მრეწველობის, დამზადებისა შენახვის, ტრანსპორტისა და ვაჭრობის სისტემების მუშაკებმა, ერთ ჭეყანას მივცეთ უკლებლივ ის ბოსტნეული, რომელიც მიწამ ; წარმატებით შევასრულოთ სახელმწიფოსათვის ამ ვიტამინიანი პროდუქციის მიყიდვის გეგმები, მოვიმარაგოთ იგი სრული ულობით და ხაკმარისი ასორტიმენტით.

ოგორც სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი მონაცემები ბობს, თავიანთი ამუამინდელი ამოცანების მნიშვნელობა კარგად შეგნებული და მათ გადასაწყვეტად მაქსიმალურადაც არიან ამული ა ჰარის ასსრ, წყალტუბოს ზონის, მცხეთის, ბოლნისწყალის, მარნეულის და სხვა რაიონების მებოსტნეები. განსაკუთრებით მარჯვედ ირჯებიან მარნეულელები. ასინი წლის ბოლოსაგეგმო 60 ათასი ტონის გადამეტებით 1500-2000 ტონა ბოსტნეულს ჰპირდებიან დედაქალაქისა და რუსთავის მშრომელებს. ნეულის რაიონში ბოსტნეულის წარმოებასა და დამზადებაში ვალსაჩინო წარმატება ბევრი საკითხის გადაჭრის, ბევრი სიძნელის დაძლევის წყალობით მოიპოვეს. აქ საგეგმო დავალებების სრულებლად წლითიწლობით სწავლობენ ყოველგვარ კლიმატურ პირობებში უხვი მოსავლის დაპროგრამებას, ადგილობრივ ობებს უსადაგებენ ტექნიკას, სათანადო ტექნოლოგიას, გონივრულად იყენებენ სასუქებსა და წყალს.

ავე დროს შემაშფოთებელია ის, რომ წლის მიწურულში დუ- ის, წულუკიძის, ქარელის, აბაშის, საგარეჯოს რაიონებში, ოსა და სამხრეთ ოსეთში სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის ოდვის გეგმები 70 პროცენტითაც არ არის რეალიზებული. ეს შედეგია, რომ აქაურ საზოგადოებრივ მეურნეობებში არ დამყარებული წესრიგი, სუსტად იყენებენ ტექნიკას, მოიკოდს შრომისა და საგეგმო დისციპლინა.

ნრად უმთავრესად გეგმებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებებით უნდა ავხსნათ აბმეტის, კახეთის, საგარეჯოს, თელავის რაებს და სამხრეთ ოსეთის მებოსტნეების მიერ ზამთრისათვის ის მომარაგების დავალების შეუსრულებლობა, ის, რომ წლიურობით რესპუბლიკის ცალკეული რაიონები ვერ ასრულებენ ტიმენტის მიხედვით ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადების გეგმებს.

ადა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ნგებოდ აღინიშნა, რომ პარტია მკაცრად მოითხოვს გეგმების ულებას, „ვინაიდან იგი დამტკიცების შემდეგ იქცევა კანონად მას, როგორც კანონს, ისე უნდა მოეკიდოს ყველა — მუშა ება თუ მინისტრი.

ამ მხრივ რესპუბლიკაში ამ ბოლო ხანს ბევრი რამ მოგვარდა, ამას ჯერ კიდევ პრობლემად რჩება მოსავლის ტრანსპორტირეა და დაბინავება-შენახვის საქმე. არცთუ იშვიათად ტრანსპორ- ის უქონლობის გამო ჭირნახული მინდორში ფუჭდება და მეტნეები რაც უფრო მეტს აწარმოებენ, მით უფრო მეტს კარ- ენ და ზარალობენ. დიდძალი ბოსტნეული იკარგება საცავებში ი დაუდევარი შემოზიდვისა და შემდგომში ცუდი შენახვის გამო. ელოთად, შარშან ლილოს ბაზაში 2 ათასი ტონა ბოსტნეული ენდარტო აღმოჩნდა.

ამრის მარაგისათვის უხარისხო, გადაურჩეველი ბოსტნეულის ოზიდვა წლეულსაც განმეორდა. მაგალითად, ბევრი დაზიანებუ- მინანახი კარტოფილი შეიტანეს ლილოს კომბინატში ნალეის, ქალაქის, ადიგენის რაიონებიდან. მინარეგმა მიწამ 3 ათასი ა შეადგინა, საგულისხმოა ისიც, რომ ეს მიწა ნიადაგის ნაყოერი ფენაა და მისი დაკარგვა გაიხად მოსავლიანობას დააკვე�ს, ბოსტნეულის საცავის ბიუჯეტს კი მისი გატანა და გადაყრა ბეტ ხარჯად აწევს.

ლბოსტნეულის წარმოებისა და დამზადების გადიდების კვანძია ბაღებისა და ბოსტნების ნობათებით მოსახლეობის შეუხებელი მომარაგების უზრუნველსაყოფად, როგორც ნოემბრის ბეული აღინიშნა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საცავების მშენებლობას, ვინაიდან ტიკამ გვიჩვენა, რომ მოწეული პროდუქციის 70 პროცენტის ეულოდ წარმოების ადგილებში შენახვა ყოველმხრივ ხელსაყრელია.

ართალია, მომდინარე ხუთწლედში რესპუბლიკაში თითქმის 80 ი ტონით გაიზრდება ხილბოსტნეულის საცავის ტევადობა, რამ ამ ხმრივ ჯერ კიდევ დიდი მუშაობა გვმართებს, რადგან ოზიდნული რეჟიმით ხილბოსტნეულის მთელი ზამთრის მა- ის მხოლოდ 20 პროცენტი ინახება.

ოსტნეულის მოსავლის უდანაკარგოდ და ხაიმედოდ დაბინავება, პროდუქციით მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგება მნიშ- ვანწილად არის დამოკიდებული ამ საქმეში პარტიული. ოთა და სამეურნეო ორგანოების დახმარებაზე, ინიციატი- ებ. მათ კიდევ უფრო ფართოდ უნდა გაშალონ მებოსტნეთა, და- ებლებისა, გადამმუშავებელთა და ტრანსპორტის მუშაკთა ალისტური შეჯიბრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემ- ის პლენუმის გადაწყვეტილებათა ხორციშესხმისათვის, სოფლის ტული ორგანიზაციები დღენიადაგ უნდა ზრუნავდნენ ადამია- ტექნიკის სწორი განაწილებისათვის, მოსავლის აღებაში ჭმებულთათვის ნაყოფიერი შრომისა და კარგი დასვენების პი- ების შექმნისათვის. რესპუბლიკის მებოსტნეთა გადაუდებელი ირსებულია სახელმწიფოს მისცენ მეტი ვიტამინიანი პროდუქცია, რა- ანაა სახელმწიფოს მისცენ მეტი ვიტამინიანი პროდუქცია, რა- ირსებულად შეასრულონ ხუთწლედის პირველი წლის გეგმა- ებულებები და ამით მტკიცე საფუძველი შექმნან ხუთწლე- ის ბოლოსთვის მაღალი მიჯნების მისაღწევად.

ეჭი არ არის, რომ რესპუბლიკის მებოსტნეები და მეკარტოფი- ები, რომლებიც ბოლო წლებში კარგი, სტაბილური მუშაობის ელითს გვიჩვენებენ, მიღწეულს არ დასჯერდებიან, მთელ თავი- ალ-ღონისა და ენერგიას მოახმარენ ჰექტარობრივი მოსავ- ანების გასადიდებლად, ასორტიმენტის მიხედვით ვგეგმების უთუ- ებ. შესასრულებლად რეზერვების გამოვლენასა და ამოქმედებას. ინთან სამოქმედო დევიზად გაიხდიან სკკპ ცენტრალური კომი- ის ნოემბრის პლენუმის მოწოდებას, რომ „უკეთ უნდა ვი- ოთ. უკეთ უნდა შევადგინოთ გეგმები და უკეთ შევასრუ- ნ ისინი. უკეთ უნდა მოვაწყოთ წარმოება და უკეთ ვაწარ- ოთ. ერთი სიტყვით, ვიმუშაოთ უფრო ეფექტიანად“.

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო

პაპის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერები

15 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა კათოლიკური ეკლესიისა და ვატიკანის სახელმწიფოს მეთაურის პაპის იოანე პავლე მეორის თხოვნით კრემლში მიიღო პაპის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერთა ჯგუფი. ამ ჯგუფის წევრებმა ფუნდამენტური გენეტიკის პროფესორმა ე. ლეჟენმა და ქიმიის პროფესორმა ჯ. ბ. მარინი-ბეტელმ ილაპარაკეს იმ შედეგების აკადემიის მიერ გაწეული კვლევის შესახებ, რომელიც შეიძლება მოუტანოს კაცობრიობას ბირთვული ომმა, და ლ. ი. ბრეჟნევს გადასცეს ამ კვლევის შედეგების შემცველი „დეკლარაცია ბირთვული იარაღის გამოკენების შედეგების თაობაზე“.

საუბრის დროს ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაში ძირითადი ფაქტორი იყო და კვლავ არის ზრუნვა იმისათვის, რომ დავიცვათ მშვიდობა, თავიდან ავიცილოთ ბირთვული ომის საფრთხე, განვამტკიცოთ ხალხების უშიშროება. მან აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ადამიანებმა უკეთ იცოდნენ რამდენი უბედურება შეიძლება დაატეხოს თავს კაცობრიობას ბირთვულმა ომმა. სწორედ ამიტომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსებისა და მეცნიერების გაფრთხილებანი უაღრესად სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. ეს იდეა უდევს საფუძვლად სკკპ XXVI ყრილობაზე წამოყენებულ წინადადებასაც, რომ შეიქმნას საერთაშორისო კომიტეტი, რომელიც ცხადყოფს, თუ რაოდენ აუცილებელია ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილება. რაც უფრო ხმამაღლა გაისმება მეცნიერთა ავტორიტეტული, საქმის ცოდნით გამსჭვალული ხმა, მით უფრო შეგნებული გახდება მილიონობით ადამიანის საქმიანობა ამ მიზნის მიღწევისათვის.

დროის ნიშანია ის, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომ მისწრაფება — თავიდან ააცილონ კაცობრიობას საფრთხე, რომელიც მას ემუქრება, იდეოლოგიების, ფილოსოფიური შეხედულებებისა და მრწამსის განსხვავების მიუხედავად აკავშირებს სახელმწიფოებს, პოლიტიკურ პარტიებსა და მიმდინარეობებს, საზოგადოებრივ და სხვა წრეებს, რომელთაც ესმით, რომ საერთო საარსებო ინტერესები აქვთ.

არ დაუშვან ბირთვული ომი — დღეს ეს არის სახელმწიფოთა ხელმძღვანელების უმაღლესი პასუხისმგებლობა თავიანთი ხალხების, კაცობრიობის, შთამომავლობის წინაშე. საბჭოთა ხელმძღვანელობას მთელი სისრულით აქვს შეგნებული ეს პასუხისმგებლობა. საბჭოთა კავშირი ამ ამოცანას უქვემდებარებს თავის საგარეო პოლიტიკას.

ლ. ი. ბრეჟნევმა თანამოსაუბრეთ შეახსენა, რომ ამ დღეებში საბჭოთა კავშირის ინიციატივით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ გამოაცხადა, რომ კაცობრიობის წინააღმდეგ უმძიმესი დანაშაული იქნება, თუ რომელიმე სახელმწიფო პირველი გამოიყენებს ბირთვულ იარაღს. იგი განსაკუთრებით შეეხო სსრ კავშირის კონკრეტულ ღონისძიებებსა და წინადადებებს, რომელთა მიზანია შეასუსტოს დაძაბულობა ევროპაში, მიაღწიოს, რომ ორივე მხარემ რადიკალურად შეამციროს ამ კონტინენტზე დგროვილი ბირთვული იარაღის მარაგი და, რაც უკეთესი იქნება, საერთოდ უარი თქვას ყველა სახეობის საშუალო სიმძრის ბირთვულ იარაღზე, რომელიც დამიზნებულია ევროპაში მდებარე ობიექტებისათვის. ამ მიზნების მიღწევას ეცდება სსრ კავშირი ევროპაში ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკების დროსაც.

საერთაშორისო კონტაქტებსა და დიალოგში, რომელთა მიზანია მსოფლიო პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღება და მშვიდობის განმტკიცება, ხაზგასმით აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა სახელმწიფოს — დიდს, საშუალოსა და პატარას, მთელ პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, მეცნიერულ, რელიგიურ და სხვა ძალებს, რომლებიც სამშვიდობო მიზნებს ისახავენ.

პაპის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები დათანხმდნენ, რომ თანამედროვე ვითარებაში

დიდი ბიოგრაფიის ფურცლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი! — კომუნისტებისათვის, ყველა კონტინენტის ასმილიონობით ადამიანისათვის მისი სახელი გახდა ლენინური პრინციპულობის, თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმის, შვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის თავდადებული ბრძოლის განსახიერება.

ლ. ი. ბრეჟნევის მრავალმხრივი, დაუღალავი და ნაყოფიერი მოღვაწეობა სოციალისტური სამშობლოს, მეცნიერული კომუნიზმის იდეალების უანგარო სამსახურის შთამაგონებელი მაგალითია. მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მშრომელ ადამიანთა ინტერესებს ექვემდებარება. სადაც უნდა გაეგზავნა პარტიას ლ. ი. ბრეჟნევი, იგი ყველგან და ყოველთვის ჩვეული ენერგიითა და სიმტკიცით შრომობდა. ეს ერთხელ კიდევ ნათლად აისახა მხატვართა სახლის საგამოფენო დარბაზში, სადაც ლეონიდ ილიას ძე 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოდოკუმენტების გამოფენა გაიხსნა.

გამოფენა გახსნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. ნ. მენთეშაშვილმა.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ს. ე. ხაბეიშვილი, ო. ე. ჩერქეზიი, ნ. ა. ჭითანავა, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, გამოჩენილი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ქალაქის საწარმოთა წარმომადგენლები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, ომისა და შრომის ვეტერანები, ახალგაზრდები.

დამთვალიერებელთა პატივისცემასა და მოკრძალებას იწვევს იმ ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელიც შესანიშნავი მაგალითია ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევის შრომითი ბიოგრაფიის დასაწყისი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის პირველ წლებს ემთხვევა, ამ წლებში ყალიბდებოდა და ვაჟკაცდებოდა სოციალიზმის მშენებელთა პირველი თაობა.

მხახელები დიდხანს ჩერდებიან კამენსკოეს მეტალურგიული მუშაკის 1933-34 წლის გამოსაშვები კურსის სურათთან. ამ სასწავლებლის დირექტორიც ბრეჟნევი იყო.

1936 წელს გადაღებულ ფოტოზე ჯავშანსატანკო სკოლის კურსანტი ლ. ი. ბრეჟნევია აღბეჭდილი.

აი პარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

შემდეგი ექსპონატები დამთვალიერებლებს აცნობს ლ. ი. ბრეჟნევის და მის თანამებრძოლთა საქმიანობას, ჩვენი სამშობლოს ისტორიასთან რომ არის დაკავშირებული. ომის პირველი დღეებიდანვე ლ. ი. ბრეჟნევი დაბეჯითებით სთხოვდა ზემდგომ პარტიულ ორგანოებს გაეშვათ იგი მოქმედ არმიაში. ივლისში თანხმობაც მიიღო. მას შემდეგ ომის ბოლო დღემდე ლეონიდ ილიას ძე მოქმედ არმიაში იყო. მან ომის ძნელი გზები გამოიარა და პირნათლად მოიხადა თავისი პარტიული და ჯარისკაცური ვალი.

დიდი სამამულო ომის ისტორიის ბევრი ბრწყინვალე ფურცელია დაკავშირებული მის სახელთან. სამხრეთის ფრონტის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილედ, მერე კი მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსად, მე-4 უკრაინის ფრონტის პოლიტსამმართველოს უფროსად ყოფნისას იგი აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა არმიის მთელი რიგი დიდი ოპერაციების გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში. საბჭოთა მეომრები ლ. ი. ბრეჟნევს იცნობდნენ გამოცდილ პოლიტმუშაკად, დიდბუნებოვან და ვაჟკაცურ ადამიანად.

შთამბეჭდავია ფოტო, რომელზეც „მცირე მიწის“ სადესანტო ჯარების ჯგუფის მეთაური გენერალ-მაიორი ა. გრეჩკინი და მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი ლ. ი. ბრეჟნევია აღბეჭდილი.

და, ბოლოს, ნანატრი გამარჯვებაც მოვიდა, 1945 წლის ივნისით დათარიღებულ სურათზე აღბეჭდილია ლ. ი. ბრეჟნევი მე-4 უკრაინის ფრონტის ნაკრები პოლკის კომისარი — მოსკოვში, გამარჯვების პარადზე.

გამოფენის ორგანიზატორებს მისი მრავალფეროვანი ცხოვრების არც ერთი დეტალი არ გამორჩენიათ.

აღდგენითი პერიოდი. ფოტოდოკუმენტები ცოცხლად და საინტერესოდ ასახავს ბრეჟნევის საქმიანობას. აი, ზაპოროჟიეს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გამოდის „ზაპოროჟფოლადის“ ფურცლის ცივსგლინავი საამქროს ამოქმედებისადმი მიძღვნილ მიტინგზე. აი იგი უკრაინის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის მდივნის პოსტზე. 1956 წელს კი ლ. ი. ბრეჟნევი ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანია.

ფოტოები ამაღელვებლად მოგვითხრობენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეზე.

გამოფენაზე წარმოდგენილია სულ 180 ფოტოდოკუმენტი.

საკავშირო წიგნის პალატის მონაცემებით, 1981 წლის 1 იანვრისათვის ჩვენს ქვეყანაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებები გამოიცა 1882-ჯერ, საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა 82-ენაზე. თბილისის გამოფენაზე ექსპონირებულია საქართველოს გამომცემლობათა მიერ გამოშვებული მისი ნაშრომები.

გამოფენას ინტერესით ათვალიერებენ მოსკოვიდან, კიევიდან, ნოვოროსიისკიდან ჩამოსული ვეტერანი მცირემიწელები — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის თანატოლები და თანამოლეები — ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე სოლოვეიკინი, დიმიტრი სტეფანეს ძე კოვეშნიკოვი, ვლადიმერ მიხეილის ძე ოქსანიჩევი, მიხეილ მირონის ძე კუშნირი, სიმონ ტიმოთეს ძე გრიგორიევი.

გამოფენის მომწყობთ არც ყამირი და კოსმოსური ეპოპეა გამორჩენიათ.

საინტერესოდ ასახავს სურათები საქართველოში ლ. ი. ბრეჟნევის სტუმრობას.

საგამოფენო დარბაზის შუაგულში ვკითხულობთ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს: „ნებისმიერ ჩვენთაგან კომუნისტს რომ ჰკითხონ, სხვა გზას ხომ არ აირჩევდიო, მტკიცედ იტყოდა, არა, არ ავირჩევდიო, — არ ავირჩევდით იმიტომ, რომ ჩვენი გზა — ეს არის ხალხის, პარტიის უანგარო სამსახურის გზა“.

გამოფენის დათვალიერებისას ერთხელ კიდევ რწმუნდები ჭეშმარიტებაში, რომ მუშათა კლასი, ხალხი ხელმძღვანელ პოსტებზე აწინაურებენ თავიანთ ყველაზე გამოცდილ, გამოწრთობილ, შესანიშნავ წარმომადგენლებს, რომლებსაც უნარი შესწევთ ღრმად ერკვეოდნენ საზოგადოებრივ მოვლენათა დედაარსში და რაზმავდნენ მასებს კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების განსახორციელებლად.

სწორედ ასეთი ლენინური ტიპის ხელმძღვანელია ლ. ი. ბრეჟნევი, ადამიანი, რომელიც ყველგან და ყოველთვის ჩვეული ენერგიითა და სიმტკიცით იბრძოდა და იბრძვის პარტიის დიადი საქმისათვის.

მ. ანასაშვილი.

ხალხის, პარტიის უანგარო სამსახური

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ეძღვნება ფოტოდოკუმენტების ლამაზად გაფორმებული ალბომი „ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფურცლები“.

ამ გამოცემის მრავალრიცხოვანი დოკუმენტები წარმოაჩენს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს, როგორც მუშათა კლასისა და მთელი საბჭოთა ხალხის წარმომადგენელს, ლენინური ტიპის ხელმძღვანელს. ხალხთან იგი მუდამ სისხლხორცეულად იყო და არის დაკავშირებული. სადაც უნდა გაეგზავნა პარტიას ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, იგი ყველგან და ყოველთვის მისთვის ჩვეული ენერგიითა და სიმტკიცით იბრძოდა და იბრძვის მისი დიადი საქმისათვის, ყველა კონტინენტის კომუნისტებისათვის, ასმილიონობით ადამიანისათვის მისი სახელი ლენინური პრინციპულობის, თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის თავდადებული ბრძოლის განსახიერება გახდა.

ფოტოალბომი გამოუშვა გამომცემლობა „პლანეტამ“ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 75-ე წლისთავისათვის.

(საკდესი).

ინტერნაციონალიზმის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის

მაღალი ცხოვრებისეული სიმართლე

მილიონობით ადამიანის სულიერი საკუთრება გახდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ახალი წიგნის „მოგონებების“ პარტიულად მგზნებარე ფურცლები. ეს ნაწარმოები ეძღვნება მაღალ ცხოვრებისეულ სიმართლეს, ხალხის შრომითს და მხედრულ გმირობას. დიდი უურადღებით, პარადი დაინტერესებით ეცნობიან წიგნს ქვეყნის მშრომელები. საკდესის კორესპონდენტები იუწყებიან:

მოსკოვი

„მოგონებებზე“ ფურცლები ღრმა ადამიანურ ინტერესს იწვევს. სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები აქ პოულობენ საკუთარს, სანუკვარს, აღნიშნა დედაქალაქის სვერდლოვის რაიონის პარტიული აქტივის სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე გამოსვლისას სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს პარტკომის მდივანმა ვ. შლიგინმა.

— ჩემთვის — თქვა პარტიულმა მუშაკმა, — განსაკუთრებით ახლობელია წიგნის ის ფურცლები, სადაც ლაპარაკია იდეოლოგიური მუშაობისადმი მუდმივ უურადღებაზე.

წიგნი „მოგონებები“ თითქოსდა წინ უძღვის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სხვა ნაწარმოებებს — „მცირე მიწას“, „აღორძინებას“, „ყამრის“. იგი ცხოვრების სახელმძღვანელო გახდა კომუნისტებისათვის, ყველა საბჭოთა ადამიანისათვის.

დნეპროპეტროვსკი

მ. ი. არნიჩევის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის ახალგაზრდობა მამა-პაპათა სიუჟეტებს შეხვდა უმაღლესი სასწავლებლის სახალხო მუზეუმში. მისი სტენდები, რომელიც ეძღვნება ინსტიტუტის ყოფილ კურსდამთავრებულს ლ. ი. ბრეჟნევს, შეივსო ახალი ექსპონატით — წიგნით „მოგონებანი“.

მასწავლებლებისა და სტუდენტების წინაშე გამოვიდა შრომის ვეტერანი ა. დ. კუცენკო, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად სწავლობდა ინსტიტუტში, მსახურობდა მასთან ერთად იმიერ ბაიკალში და იბრძოდა ლეგენდარულ მე-18 არმიის შემადგენლობაში. ისაუბრა რა იმ მძიმე და სახელოვან წლებზე, მან აღნიშნა:

— ლეონიდ ილიას ძე დიდი ბუნებისა და მაღალი პარტიული მოვალეობის ადამიანია. მისი ბედი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის ბედთან. ახალგაზრდების საპატიო მოვალეობაა ამ შესანიშნავი ცხოვრების მაგალითით ისწავლონ მამულისადმი, ხალხისადმი სამსახური.

კურსკი

მღელვარებით ილაპარაკეს „მოგონებებზე“ კურსკის რაიონის სოფელ ბრეჟნევოში გამართული მკითხველთა კონფერენციის მონაწილეებმა — მახსოვს ის დრო, როცა კამენსკოედან სოფელში ოჯახითურთ დაბრუნდა ილია იაკობის ძე ბრეჟნევი, — თქვა უხუცესმა კოლმეურნემ ჰ. ტ. ევდოკიმოვმა — მახსოვს, როგორ თესავდა და მოჰყავდა ჭვავი მის ვაჟს ლეონიდს.

ლეონიდ ილიას ძის ცხოვრება ეს ჩვენი თაობის ადამიანის ცხოვრებაა, რომლისთვისაც შრომითი ბიოგრაფია დიდი ოქტომბრით დაიწყო.

დედებზე გულითადი სიტყვებისათვის ლეონიდ ილიას ძეა მადლობა გადაუხადა მისმა მოგვარემ ანა იაკობის ასულმა ბრეჟნევამ.

— ცხრა შვილი აღვზარდე, — თქვა მან — კოლმეურნეობამ დიდი სახლი აგვიშენა. უფროსი ვაჟი ალექსანდრე მოწინავე ტრაქტორისტია. მე და ჩემი მეუღლე ვცდილობთ აღვზარდოთ ნამდვილი შრომისმოყვარე ადამიანები, ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსეული მოქალაქეები.

ეს მუშაობა მრავალფეროვანია: იგი მოითხოვს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების საგულდაგულო ანალიზს და ამასთან დაკავშირებით წამოჭრილი პრობლემების მუდმივ გადაწყვეტას.

მეგობრულ ვითარებაში

14 დეკემბერს ლენინგრადიდან მოსკოვს ჩამოვიდა ნიკარაგუის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მიგელ დესკოტო ბროკმანი.

ვაგზალში სტუმარს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სხვა ოფიციალური პირნი.

იმავე დღეს გაიმართა ა. ა. გრომიკოსა და მ. დესკოტო ბროკმანის მოლაპარაკება.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ წარმატებით ვითარდება სსრ კავშირისა და ნიკარაგუის ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები.

ა. ა. გრომიკომ მ. დესკოტო ბროკმანს აცნობა, თუ რა პრაქტიკულ ღონისძიებებს ახორციელებს საბჭოთა კავშირი სკკპ XXVI ყრილობის მიერ მიღებული ოთხმოციანი წლების სამშვიდობო პროგრამის რეალიზაციისათვის, კერძოდ, ესაუბრა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ვიზიტის დროს ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებული ევროპაში ბირთვული შეიარაღების შემცირების ახალი საბჭოთა წინადადების შესახებ. განსაკუთრებით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის საქმისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციებს, რომელთა მიზანია ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილება, გამალებული შეიარაღების შენელება და განიარაღება.

ორივე მხარემ მტკიცედ განაცხადა, რომ ყველა სახელმწიფოს, მათ შორის ცენტრალური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნებს, აქვთ ხელშეუვალი უფლება განსაზღვრონ თავიანთი განვითარების გზები გარეგან ჩაურევლად. (საკდესი).

სურათზე: საუბრის წინ. საკდეს-საკინფორმის ტელეფოტო.

„ინტურისტი“: ყოველდღიური ამოცანები

რესპუბლიკის „ინტურისტის“ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება რიგგარეშე იყო. მან განიხილა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ მოწყობილი „ინტურისტის“ საქმიანობის შემოწმების შედეგები და განსაზღვრა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი.

შემოწმების შედეგები ნაკლებ სანუგეშოა. გამოვლენილია არსებითი ნაკლოვანებანი უცხოელი ტურისტებისა და საბჭოთა მოქალაქეების მომსახურების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის, სერვისის ორგანიზაციის საქმეში. მაგალითად, ბიუროკრატიული გაჭიანურების გამო უკვე რამდენჯერმე გადაიდო სასტუმროების მშენებლობის დაწყება სოხუმსა და გაგრაში. მათი მწყობრში ჩადგომა კი, სხვათა შორის მთლიანად 1400 ადგილის მომატებას ნიშნავს.

ქობულეთის სასტუმრო, მართალია მშენებლობის პროცესშია, მაგრამ მის დასასრულს ბოლო არ უჩანს, ჯერაც არ შეინიშნება გარდატეხა თბილისის სასტუმრო „ფეხაზეთის“ რეკონსტრუქციისათვის მიმდინარე ს

კაცობრიობას ერთი პლანეტა აქვს

ეკოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

თელეთის ქედის ფერდოებიდან, სადაც კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში შეიკრიბნენ სრულიად საკავშირო საბეჭდვითი-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილენი, მათ თითქოს მთელი დედამიწა წარმოუდგათ თვალწინ. მთები და ველები, მდინარეები და ზღვები, ქალაქები და სოფლები, ადამიანი და მისი ურთიერთმოქმედება გარემოსთან, ბუნებასთან, ესახელოდათ მათ უამრავი პრობლემის მთელი სიცრცელითა და სირთულით.

სამი დღის განმავლობაში თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერები და სპეციალისტები — ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, გეოგრაფები, ბიოლოგები, გეოლოგები, ეკონომისტები, მედიკოსები, პედაგოგები, ინჟინრები, ქიმიკოსები და ფიზიკოსები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი — მხურვალე დაინტერესებით განიხილავდნენ საბოლოოდ თამამდე მოხსენებასა და ინფორმაციას თემაზე „მარქსიზმ-ლენინიზმი და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები“.

კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის კოლეგიურის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის შესავალი სიტყვა.

საქინფორმი მკითხველებს სთავაზობს კონფერენციის ანგარიშს, როგორც მის მონაწილეთა გამოსვლების მოკლე სტენოგრამების მიხედვით არის შედგენილი.

1. ბუნებისა და მშვიდობის დაცვა-შენარჩუნება — ამოცანებისა და მიზნების ერთიანობა

მ. ა. მჰედლოვი,

პროფესორი

საზოგადოებისა და ბუნების თანამოქმედება დღეს სხვადასხვა მთავრობისა და პოლიტიკური პარტიის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქმიანი წრეების, საბჭნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმომადგენლების, და, ბოლოს, მსოფლიო საზოგადოებრიობის ყველაზე ფართო ფენების სულ უფრო მზარდ ყურადღებას იპყრობს.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს საქართველოში, კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ როგორ ზრუნავს ჩვენი პარტია ბუნების დაცვის, მის სიმდიდრეთა გამრავლებისათვის.

სასიხარულოა, რომ საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვა რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის და მისი სამეურნეო ორგანოების საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. დღეს ჩვენ მტკიცედ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თქვენი რესპუბლიკა იმ ბრძოლის ავანგარდში დგას, რომლის მიზანია კიდევ უფრო თვალწარმტაცი გახადოს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ბუნება, შეუნარჩუნოს მისი მთელი სიკეთე მომავალ თაობებს.

თავისი ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ეყრდნობოდა და ეყრდნობა მარქსიზმ-ლენინიზმს, როგორც მოძღვრებას, რომელიც საზოგადოებაცხოველმოქმედების ყველა მხარეს განიხილავს მათს დიალექტიკურ ერთიანობასა და ურთიერთკავშირში. მეცნიერული კომუნიზმის კლასიკოსების თეორიულ მემკვიდრეობის ანალიზი მოწმობს, რომ მათ მიერ შექმნილი მწყობრი მოძღვრება საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთობის შესახებ ეკოლოგიურ პრობლემათა გადაჭრის საიმედო მეთოდოლოგიური საფუძველია.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ პირველსავე წლებში გამოიცა ასამდე დეკრეტი ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ბუნების, მიწის, ტყის, წიაღის, წყლის რესურსებისა და ცხოველთა სამყაროს დაცვის შესახებ. ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელოვანად ანიჭებდა მეცნიერებას, უსახავდა მას ქვეყნის ბუნებრივი საწარმოო ძალების სისტემატური შესწავლის ამოცანებს, ხშირად ესაუბრებოდა თვალსაჩინო მეცნიერებს, აყენებდა მათ წინაშე ამ საკითხებს.

საზოგადოებისა და ბუნების თანამოქმედების პრობლემების გაგებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მიერ საზოგადოების საწარმო ძალების განვითარების კანონზომიერებათა მოძღვრების შემუშავებას. დღეს იგი მარქსისტ მეცნიერებს აძლევს თეორიულ იარაღს ბურჟუაზიულ იდეოლოგთა იმ ცდების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ დასავლეთის ეკოლოგიური კრიზისი ახსნან არა კაპიტალისტური წარმოების წესის მანკიერებებით, არამედ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ვითომდა ბუნებაში საწინააღმდეგო ხასიათით.

თანამედროვე პირობებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობა გარემოს დასაცავად გადაიქცა მეცნიერულად დასაბუთებულ ეკოლოგიურ პოლიტიკად, რომელსაც ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც პარტიის პოლიტიკის სხვა მიმართულებებს. სახელმწიფო ბუნების დაცვას ახმარს უზარმაზარ სახსრებს, რომლებიც მილიონობით კი არა, მილიარდობით მანეთით აღირიცხება. და ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, რაც შეიძლება რაციონალურად მოვიხმაროთ ეს სახსრები. უნდა გარდავქმნათ აგრეთვე ადამიანთა შეგნება, მათი დამოკიდებულება ბუნებისადმი. ეს დროის მოთხოვნა და ახალი ადამიანის აღზრდის ამოცანის გადაწყვეტის განუყოფელი ნაწილია.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყანა ახორციელებენ აქტიურ, მთელი კაცობრიობის ინტერესების შესაბამის პოლიტიკას, რომლის მიზანია გამალებული შეიარაღების შეკავება და გარემოს დაცვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გადაქცევა მშვიდობის შენარჩუნების, გლობალური საკაცობრიო პრობლემების ერთობლივი გადაჭრის ქმედითს ინსტრუმენტად.

ე. კ. ფიოდოროვი,

აკადემიკოსი

დღეს ყველასათვის ნათელია, თუ რაოდენ დამღუპველ გავლენას ახდენს გამალებული შეიარაღება ჩვენი პლანეტის ბუნებაზე. ამიტომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXV სესიამ ჩვენი ქვეყნის წინადადებით მიიღო რეზოლუცია, რომელმაც სახელმწიფოთა ისტორიულ პასუხისმგებლობად გამოაცხადა დედამიწის ბუნების შენარჩუნება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დაევალა მომაზადოს მოხსენება ბუნებაზე გამალებული შეიარაღების გავლენის შესახებ, ხოლო გენერალური ასამბლეის XXXVI სესიამ ეს საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მომავალი, განიარაღებისადმი მიძღვნილი საეტაპო ასამბლეის განსახილველად შეიტანა, თავისთავად ეს უკვე ბევრს მოწმობს.

საბჭოთა მთავრობას არაერთგზის გამოუჩენია ინიციატივა და მიუღწევია წარმატებისათვის ბუნების დაცვის მიზნით საერთაშორისო მოქმედების ორგანიზაციის საქმეში. ეს პრობლემა უკანასკნელ ათწლეულებში ჭეშმარიტად გლობალური გახდა. წლითიწლობით ხშირდება განუახლებელი ბუნებრივი რესურსების მოხმარება, საგრძნობლად მცირდება ნავთობის, ტყვიისა და ზოგიერთი სასარგებლო წიაღისეულის ცნობილი მარაგის მოცულობა. სულ უფრო სრულად გამოიყენება ისეთი რესურსები, როგორიცაა მტკნარი წყალი, ტყე. ქალაქების, გზების მშენებლობასთან, ტყის ჩეხვასთან. სტეპების გადახვნასთან, მიწების რწყვასა და დაშრობასთან დაკავშირებით გარდაქმნილია დედამიწის ზედაპირის დაახლოებით ათი პროცენტი. ატმოსფეროს შედგენილობაში სულ უფრო საგრძნობლად მატულობს სათბობის წვის დროს წარმოშობილი სხვადასხვა მინარევების შემცველობა.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ დედამიწის ბუნებრივი ფარგლები საზღვარს უდებენ კაცობრიობის განვითარებას? სულ არა. ამა თუ იმ ბუნებრივი რესურსის გამოფიტვა სულაც არ ნიშნავს, რომ მცირდება ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობანი. განუწყვეტლივ მიმდინარეობს ახალი გზების აღმოჩენა. გარდა ამისა, ჩვენ შეგვიძლია მნიშვნელოვნად ავამაღლოთ განახლებადი რესურსების გამოყენების ეფექტიანობა. მაგალითად, დედამიწის მთელ მინდვრებში რომ მიგვეღწია აგროტექნიკის ისეთი დონისათვის, როგორიც დღეს მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაშია, მაშინ სურსათი სავსებით ეყოფოდა საძკერ უფრო მეტ მოსახლეობას, ვიდრე დღეს არის დედამიწაზე. მაგრამ ამისათვის ჯერ უნდა აღმოვფხვრათ ძალზე ბევრი ქვეყნის ჩამორჩენა ტექნიკის, სასუქის წარმოების, მელიორაციის განვითარების დონის მხრივ, რაც იმის შედეგია, რომ საუკუნეთა მანძილზე მათი რესურსები და ადამიანის შრომა ამჟამად მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების განვითარებისათვის გამოიყენებოდა.

დასავლელი მკვლევარები საბჭოთა მეცნიერების შემდეგ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სწორედ სოციალური პირობები და არა პლანეტის ფიზიკური ლიმიტები უქმნის დაბრკოლებებს ადამიანებს.

ადამიანის საქმიანობის მეოხებით იცვლება დედამიწის ჰავა. ჰავის საკითხებისადმი მიძღვნილმა ამასწინანდელმა მსოფლიო კონფერენციამ ყველა ქვეყანას მოუწოდა ერთად ემოქმედათ, რათა შევინარჩუნოთ ნიადაგის ნაყოფიერება, თავიდან ავიცილოთ მსოფლიო წყლის რესურსების, ტყისა და საძოვრების მარაგის არასწორი მოხმარება, შევაჩეროთ გაუდაბნოების პროცესი და შევამციროთ ატმოსფეროსა და ოკეანის გაჭუჭყიანება.

ყოველივე ამას სჭირდება კოლოსალური სახსრები, რომლებიც დღეს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ავანტიურისტული პოლიტიკის შედეგად გაჩაღებულ გამალებულ შეიარაღებას ხმარდება. მილიარდობით მანეთი შეიძლებოდა მოხმარებოდა ადამიანისა და ბუნების რაციონალური ურთიერთდამოკიდებულების მოგვარებას, სხვა გლობალური პრობლემების გადაჭრას. მაგრამ ახლა მთელ ამ თანხებს მომაკვდინებელი იარაღის უგუნური დაგროვებისათვის იყენებენ.

ზუსტი და მკაფიო მშვიდობის პროგრამა წამოაყენა სკკპ XXVI ყრილობამ. ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „თუ მშვიდობა იქნება, ხალხთა შემოქმედებითი ენერგია მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე დაყრდნობით უეჭველად გადაჭრის იმ პრობლემებს, რომლებიც დღეს აწუხებს ადამიანებს“.

ვ. დ. ფიოდოროვი,

პროფესორი

ბევრმა არ იცის, რომ მსოფლიოში წარმოებული პროდუქციის დაახლოებით მეოთხედს იარაღი შეადგენს. იგი უკვე იმდენია დაგროვებული, რომ მას შეუძლია რამდენჯერმე მოსპოს სიცოცხლე დედამიწაზე.

არანაკლებ საშიშია ნარჩენების წარმოება, ვინაიდან მათ შეუძლიათ მოსპონ ეფექტიანი სიცოცხლის ფენომენი პლანეტაზე. ამიტომ, მშვიდობისათვის დაუღალავ ბრძოლასთან ერთად ჩვენი ძალისხმევის მიზანი უნდა იყოს ისიც, რომ პრინციპულად გადავწყვეტოთ უნარჩენო წარმოების საკითხი და ამრიგად პრობლემა მეცნიერული სიბრტყედან სოციალურ სიბრტყეში გადავიტანოთ.

ამასთან დაკავშრებით მთელი სიმწვავით დგება საკითხი მეცნიერთა როლისა და ამოცანების შესახებ. ჩვენ უნდა ვაპროგნოზებდეთ მომავალს იმ კანონების ცოდნის საფუძველზე, რომელიც ასახავენ მატერიის ობიექტური თვისებების ცოდნის ჩვენეულ დონეს. ძნელ მდგომარეობაშია ეკოლოგიური პროგნოზირება, ვინაიდან ამ მეცნიერებას მრავლად აქვს კანონზომიერებანი და ნაკლებად კანონები. სწორედ ამ მიზეზით მოგვიდა თავის დროზე ბევრი შეცდომა, რომელთა გამოსწორება ახლა სასწრაფოდ გვიხდება.

პროგნოზის საიმედოობა და სიზუსტე იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ ადგენს მას. მაშასადამე, კადრებიც პრობლემა ყოფილა. ჩვენ გვყანან საუცხო ბოტანიკოსები, ზოოლოგები, მაგრამ აი, ეკოლოგებს, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები არ აშზადებენ.

ჩვენ ვხედავთ, რომ სახელმწიფოს მეტად აფიქრებს ეკონომიკური პროგნოზირების საჭიროება, ჩანს, პირველი რესპუბლიკა, რომელიც სერიოზულად ჰკიდებს ხელს ამგვარ პროგნოზირებას, საქართველოა. ამას მოწმობს უკვე თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენი კონფერენცია საქართველოში მოეწყო.

2. ეკოლოგია და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი

ა. ვ. სიდორენკო,

აკადემიკოსი

ისევე როგორც ბუნებრივი რესურსების შემეცნებას არა აქვს საზღვარი, ვერც მათს გამოყენებას დაუდებს რაიმე საზღვარს. რაც უფრო მეტად და სრულად შევისწავლით ბუნებრივ კომპონენტებს, მით უფრო მეტად გვექნება მისწრაფება, რაც შეიძლება სწრაფად ვითარდებოდეს ტექნიკური პროგრესი, რათა სულ უფრო უკეთესი ხდებოდეს ადამიანის ცხოვრების პირობები.

ხშირად ჩვენ არასწორად განვიხილავთ ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებრივი გარემოს საკითხს. ბუნებრივი გარემო — ის გარემოა, მრავალი მილიონი წლის მანძილზე რომ შეიქმნა, ხოლო გარემო არა მარტო შეიცავს ისეთ ბუნებრივ რესურსებს, როგორიცაა მიწა, ჰაერი, წყალი, წიაღი, არამედ იმ ვითარებასაც, რომელშიც იმყოფება ადამიანი, მაგალითად სახლში, სამსახურში, ქუჩაში და ა. შ. ამატომ რაც შეიძლება უფრო სათუთად უნდა ვეკიდებოდეთ ბუნებრივ რესურსებს და ვზრუნავდეთ ჩვენი გარემოს სისუფთავისათვის.

ჩვენ მარტოოდენ გარემოს გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა როდი გვჭირდება, ვინაიდან კიდევ მრავალი წლის მუშაობა მოგვიწევს შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად. ახლა საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ ისეთი ტექნოლოგიის შესაქმნელად, რომელიც მთლიანად გამორიცხავდა ნარჩენებს. ეს კი აყენებს გარემოს დაპროექტების ამოცანას, ანუ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ივსებოდეს ბუნებრივი რესურსების მთელი ხარჯი. სწორედ ამაზე ვმუშაობთ ჩვენ ახლა, ვხელმძღვანელობთ რა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებით ბუნებრივი რესურსების შექმნის შესახებ.

საჭიროა ყოველნაირად შევუწყოთ ხელი ბუნებას, რათა დაძლიოს საუკუნო ეკოლოგიურ წონასწორობაში ადამიანის ჩარევის მავნე შედეგები.

ვ. ვ. აქსიონოვი,

სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი

უდიდეს „მაყოფილებას მანიჭებს ის, რომ კაცობრიობის ესოდენ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის — მომავალი თაობებისათვის ჩვენი ბუნების შენარჩუნების პრობლემის განხილვა მიმდინარეობს თბილისში, საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში, სადაც არის პროფესიულად და საზოგადოებრივად მომზადებული აუდიტორია.

ტექნიკური რევოლუციის საუკუნეში განუზომლად გაიზარდა ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედება ბუნების შესაძლებლობა. ჩვენს თაობას აკისრია საპატიო მისია — რაციონალურად გამოიყენოს ეს შესაძლებლობანი ხალხის საკეთილდღეოდ.

კოსმოსურმა ფრენამ შესაძლებლობა მოგვცა დაგვენახა დედამიწა ზემოდან, მიგვეღო ინფორმაცია მთელი მისი ზედაპირის შესახებ. უნდა ითქვას, რომ ახლანდელი დედამიწის ირგვლივ ფრენის ძირითადი ამოცანაა დედამიწის ყველაზე სრული პორტრეტის მიღება. კოსმოსური ფრენის ხუთი წუთის მანძილზე ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ 500 ათასი კვადრატული კილომეტრი დედამიწის ზედაპირის ფოტოგრაფიული გამოსახულება. ხოლო იმისათვის, რომ ეს ფართობი თვითმფრინავიდან გადაგვეღო, წელიწადი დაგვჭირდებოდა. ეს ერთი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ გაიზარდა ადამიანის შესაძლებლობანი.

კოსმოსურ ხანაში შეგვეძლება უკეთ ვიცხოვროთ დედამიწაზე, გავაუმჯობესოთ და დავამშვენოთ მშობელი პლანეტა. მაგრამ რა შესაძლებლობანიც უნდა გვქონდეს ყველა კონკრეტული საკითხი დედამიწაზე წყდება, და აქ ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ის არის, რომ ადამიანებს გამოვუმუშაოთ საერთო მზრუნველი დამოკიდებულება გარემოს დაცვისადმი. ძალზე ხშირად ადამიანზე, მის საქციელსა თუ უსაქციელობაზეა დამოკიდებული ბუნების ბედი, მისი მდგომარეობა მომავალში. და აქ თავისი სიტყვა უნდა თქვან სკოლამ, ლექციებმა პროპაგანდამ, ტელევიზიამ და პრესამ.

ვ. ი. კაჰარავა,

საქართველოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი მეშვიდე წელში გადადგა. ეს იყო ძიებისა და გამოცდის წლები, ახალი სახელმწიფო სამსახურის ჩამოყალიბების წლები. ჩვენ ნიადაგ ვგრძნობდით პარტიის, მთავრობის, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის მხარდაჭერას. ამ მხარდაჭერის მეოხებით დღეს რესპუბლიკაში ბუნების დაცვის დიდი ღონისძიებანი ხორციელდება, წყდება მნიშვნელოვანი პრობლემები.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში შეიქმნა ახალი ტყის მასივები, მის რუკაზე გაჩნდა ახალი ქალაქები და სოფლები, აშენდა საწმენდი ნაგებობანი. მაგრამ გვქონდა შეცდომებიც, როგორც იტყვიან; ხშირად აგვიცილებია მიზნისათვის, ჯეროვნად არ გამოგვიყენებია მონიჭებული უფლებები, არ გამოგვიჩენია საფუძველი პრინციპულობა. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად კომიტეტის მუშაკებმა მკვეთრად გაალიერეს კონტროლი დირექტიული ორგანოების დადგენილებათა შესრულებისადმი. ამის შედეგად უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ჩვენ გამოვავლინეთ ბუნების დაცვის კანონმდებლობის დარღვევის ასობით შემთხვევა, მივეცით საწარმოთა ხელმძღვანელებს შესაბამისი მითითებანი, ამასთან საქმეები განსაკუთრებით უხეშ დარღვევათა შესახებ გადავეცით პროკურატურის ორგანოებს.

აქტიურად გვეხმარებიან მუშაობაში ჯანმრთელობის დაცვის, სატყეო მეურნეობის სამინისტროები, მთელი რიგი სხვა სამინისტროები და უწყებანი. მაგრამ შეგვიძლია დავასახელოთ ისეთებიც, რომლებიც მრავალგზისი შეხსენებისა და მითითების მიუხედავად კვლავინდებურად წარმოადგენენ გარემოს ძლიერი გაჭუჭყიანების საშიშ კერებს, მაგალითად, ამიერკავკასიის რკინიგზა, ფოლადთუჯსამსხმელო ქარხანა, თბილისის გაჯის ქარხანა.

ყოველ დიდ საწარმოსთან, რომელიც გარემოს აჭუჭყიანებს, ჩვენ უსათუოდ უნდა ვიწეოდეთ გეგმაზომიერ მუშაობას, ვეკიდებოდეთ მეტი მომთხოვნელობით, ვიყოთ უკომპრომისონი და პრინციპულნი.

ამ რამდენიმე წლის წინ რესპუბლიკაში გაიმართა გარემოს დაცვის კომპლექსური პრობლემებისადმი მიძღვნილი კონფერენცია. მისი რეკომენდაციები მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის XVIII პლენუმმა. უკვალოდ არ ჩაუვლია ჩვენს მრავალ შეკრებას, სიმპოზიუმს, ერთთვიურს. დაიწერა ახალი წიგნები, გადაღებულია ფილმები, გაიხსნა ბუნების პავილიონები, გამოფენები, შეიქმნა „საქართველოს ბუნების ჰიმნი“. ყველა ამ და მრავალი სხვა ღონისძიების შედეგად თვისებრივად ახალ დონეს მიაღწია ჩვენი მუშაობის პროპაგანდისტულ-საგანმანათლებლო ასპექტმა.

ამასთანავე, კომიტეტს მრავლად აქვს პრობლემები. ავიღოთ, მაგალითად, მიწა. ჩვენს მცირემიწიან რესპუბლიკაში იგი სულ უფრო ნაკლები გვრჩება, უნდა გადაიჭრას მიწასთან დაკავშირებული ისეთი პრობლემები, როგორიცაა რეკულტივაცია, ინერტული მასალების მოპოვება, ნაპირების დამაგრება, ეროზიისა და ღვარცოფის წინააღმდეგ ბრძოლა, ბიცობების ათვისება, საძოვრებისა და ფერდობების გონივრული გამოყენება. ბევრი პრობლემა დგება აგრეთვე წყლის რესურსების, საჰაერო აუზის, ტყეების, ფლორისა და ფაუნის დაცვა-გამოყენების საქმეში.

ყოველივე ეს გვიკარნახებს მეცნიერებასთან კომიტეტის ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების საარსებო საჭიროებას. ჩვენ ვქმნიდ სამეცნიერო ცენტრს, რომელიც „უზრუნველყოფს მეთაურ ბუნების საკვლევ ინსტიტუტებთან კოოპერაციას, შეუქმნის მეცნიერულ საფუძველს სახალხო მეურნეობის განვითარების ეკოლოგიურ-ეკონომიკურ დაგეგმვას.

მ. მ. შვეცოვი,

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის წევრი

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება მეთერთმეტე ხუთწლედში, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, სულ უფრო მეტად უნდა ექვემდებარებოდეს ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტას, ინტენსიური განვითარების გზაზე ეკონომიკის გადაყვანის დაჩქარებას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. თანამედროვე განვითარების ამ ფუძემდებელმა მოთხოვნამ გამოხატულება ჰპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების სახელმწიფო გეგმაში. წინა ხუთწლედთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა კაპიტალური დაბანდებანი ბუნების დაცვის ღონისძიებებისადმი.

უმნიშვნელოვანესი ბუნების დაცვის ამოცანების გადაწყვეტას ექვემდებარება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება. მათგან უმთავრესია მცირე ნარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიური პროცესების შექმნა, მადნებიდან სასარგებლო კომპონენტების კომპლექსური და უფრო სრული ამოღების ტექნოლოგიის შემუშავება, სახალხო მეურნეობაში ენერგიის განახლებადი წყაროების ამოყენება და ა. შ. ეს პრობლემები განვიხილეთ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან ერთად, მივიღეთ მეთანხმებული გადაწყვეტილება უნარჩენო ტექნოლოგიის მეთოდების განვითარების შესახებ.

ი. ვ. პეტრიანოვი,

აკადემიკოსი

ატმოსფერული ჰაერი გარემო ბუნების ერთ-ერთი ძირითადი საარსებო მნიშვნელობის ელემენტია. ჩვენი სახელმწიფო კომპლექსურად ახორციელებს ტექნიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ღონისძიებებს ატმოსფეროს გაჭუჭყიანების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის, აგრეთვე ეწევა საერთაშორისო თანამშრომლობას ამ დარგში.

სამრეწველო წარმოების უდიდესმა ზრდამ მოითხოვა შემუშავებულიყო და განხორციელებულიყო სათანადო მეცხიერულად დასაბუთებული ღონისძიებანი გარემო ბუნების და, უწინარეს ყოვლისა, ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების შეზღუდვისა და შემაკონტროლებელ ორგანოებისათვის. გამონაფრქვევის რაოდენობის შემცირების ამოცანის გადაწყვეტისას მთავარია შევქმნათ და დავნერგოთ პრინციპულად ახალი წარმოებანი, რომლებიც კომპლექსურად გამოიყენებენ ნედლეულს, ენერგიას უნარჩენო ტექნოლოგიური პროცესები, უზრუნველყოფენ ნარჩენების სრულ უტილიზაციას. გათვალისწინებულია შემოღებულ იქნეს წყლისა და ჰაერის დაზშული ციკლები. ამრიგად, მოცემულ ეტაპზე გარემოს გაჭუჭყიანების შეზღუდვის ეფექტიან გზას წარმოადგენს გამონაფრქვევის რაოდენობის მკაცრი ნორმირება და მათდამი კონტროლის ორგანიზაცია.

ბუნების დაცვის ამოცანებისა და საწარმოთა დაპროექტება-ექსპლოატაციის პრაქტიკის შემაკავშირებელი რგოლი უნდა გახდეს მეცნიერულად დასაბუთებული ნორმირების სისტემა, რომელიც გაითვალისწინებს მრეწველობის განვითარებისა და გარემოს დაცვის ხანგრძლივ პერსპექტივას. უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული აირწმენდის, „უაეროზოლო“ ტექნოლოგიის შექმნის ფუნდამენტური ამოცანების გადაწყვეტის, ადამიანებისა და მთელი ცოცხალი ბუნების ცხოველქმედების უმნიშვნელოვანესი ელემენტის — საჰაერო აუზის სიწმინდის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში ჩვენი ერთ-ერთი ძალური ეკოლოგიური ამოცანაა.

ე. ნ. ტევეროვსკი,

პროფესორი

გარემოს დაცვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ენერგეტიკულ საწარმოო ობიექტების განლაგებას, რომელთა გარშეც წარმოუდგენელია გადასვლა სახალხო მეურნეობის ყველა სფეროს განვითარების ინტენსიურ გზაზე. სკკპ XXVI ყრილობაზე გამოსვლისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ მოცემულ ეტაპზე სულ უფრო აქტიური ხდება ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის გაუმჯობესების, ნავთობის როგორც სათბობის წილის შემცირების საჭიროება, მისი შეცვლა გაზითა და ქვანახშირით, ატომური ენერგეტიკის სწრაფი განვითარება.

ქვეყნის ევროპული ნაწილის ტერიტორიაზე ატომური ენერგეტიკის უპირატესი განვითარება შეპირობებულია ისეთი ობიექტური გარემოებებით, როგორიც არის იაფი სათბობი რესურსების უქონლობა, ჰიდრორესურსების ამოწურვა და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისას მიწის ფონდის დანაკარგების გარდაუვალობა.

ხომ არ მოახდენენ ატომური ელექტროსადგურები მავნე ზემოქმედებას როგორც გარემოზე, ისე ადამიანზე, არა, გვიპასუხებენ მეცნიერები. და მათი კატეგორიული პასუხი ზუსტ გამოკვლევებს ემყარება. კერძოდ, თუ ერთმანეთს შევადარებთ თანაბარი სიმძლავრის ქვანახშირის სათბობითა და ატომური სათბობით მომუშავე თბოსადგურებს მიერ ჰაერის რადიოაქტიურ გაჭუჭყიანებას, დავრწმუნდებით, რომ ქვანახშირში შემავალი ბუნებრივი რადიოელემენტების არსებობის შედეგად ქვანახშირით მომუშავე თბოელექტროსადგურში შესახვების დონეები 10-100-ჯერ მეტია. ვიდრე ატომური ელსადგურის ნარჩენებისა. გარდა ამისა, ატომური ელსადგურები კომპაქტურია, მკაცრი ფართობი უკავიათ, მაშასადამე, მომავალი მათ ეკუთვნით, და სწორედ ამიტომ ოკეანეებეია მოვიფიქრით მათი რაციონალური განლაგების სქემები.

საქართველოს სოფლის მშრომელები, ბუნების ნამდვილი ტრფიალნი, კვლავაც თვალისჩინივით გაუფრთხილდებიან მას და ამრავლებენ ბუნების სიმდიდრეთ.

ბ. ვ. ბედინეიშვილი,

საქართველოს უურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ამ ბოლო წლებში სამართლიანად შეიძლება ეწოდოს რესპუბლიკის თანამიმდევრული, მკაცრად ბუნების დამცველი შტაბი. ამას მოწმობს თუნდაც ახლანდელი კონფერენციის მოწყობის ფაქტი.

ბუნების დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში, ეკოლოგიური ცოდნის პროპაგანდაში ჰარტიისა და მთავრობის ერთგული თანაშემწენი არიან მასობრივი ინფორმაციის ორგანოები. შემიძლია გაგაცნოთ ამ მიმართულებით მიმდინარე მუშაობა. ორი წლის წინ რედაქციის თანამშრომლებმა რესპუბლიკის ფარგლებში იმოგზაურეს მის მთავარ წყლის არტერიაზე — მტკვარზე, და გვიამბეს, თუ ვინ და სად აჭუჭყიანებს მას. მომავალი წლის გაზაფხულზე გაზზრახულია გვაქვს, ამჯერად უკვე აზერბაიჯანის რესპუბლიკური გაზეთის მუშაკებთან ერთად, გავიმეოროთ იგივე გზა, ვნახოთ, რა გაკეთდა იმისათვის, რომ მტკვარი როგორც ეტაფეტა, მიდიოდეს სოფლიდან სოფლისაკენ, ქალაქიდან ქალაქისაკენ, რესპუბლიკიდან რესპუბლიკისაკენ ისეთი სუფთა, რომ მასში თევზიც იყოს და მისი ზედაპირიც კვლავ იზიდავდეს იხვებს. საქმე ეხება იმ მტკვარს, რომელიც არაერთგზის გამხდარა პოეტებისა და აშუღების მთავრული ბალადების წყარო. საინტერესო სანახავი იქნება, რა პირით ჩამოართმევენ სტუმრებს ხელს მთელი რიგი იმ დიდი თუ პატარა საწარმოების დირექტორები და სხვა ხელმძღვანელები, რომლებსაც არაფრად არ უღირთ ჯარიმის სახით იხადონ ათიათასობით სახელმწიფო მანეთი მდინარეში გაღუწენდელი ნახმარი წყლების ჩაშვებისათვის.

გაზეთმა შემოიღო მუდმივი რუბრიკა „ბუნება სიცოცხლის წყაროა“, აქვეყნებს ბევრ საინტერესო მასალას, მაგრამ სანამ ხრჩოლავენ მიღები და იჩეხება ტყე, სანამ ჩვენი გარემო ჩვენგანვე არ არის დაცული, ჩვენი ეკონომიკური სამეურნეოებისა ადგილებიდან ვერ შეფასდება. უნდა გამოვდიოდეთ უფრო ხშირად და უფრო მწვავედ. არა მარტო ვაკრიტიკებდეთ, და აღვნიშნავდეთ ნაკლოვანებებს, არამედ ვიღვწოდეთ იმისთვისაც, რომ ჩვენი მშვენიერი დედაბუნება გაუმჯობესებული გადავცეთ შთამომავლობას.

ბ. ს. გაჩეჩილაძე,

ხარატი

ყოველ ადამიანს აქვს თავის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი დღეები. ჩემთვის ასეთი დღეა მონაწილეობა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობაში, რომელიც განიხილავს პრობლემათა პრობლემას — გარემოს დაცვის საკითხებს.

დაიცვას ბუნება, ამრავლოს მისი სიმდიდრე — დიდიან პატარიანა ყველა მოქალაქის საქმეა. ჩვენს დედაქალაქში — რესპუბლიკის მსხვილ სამრეწველო ცენტრში ბევრი სამრეწველო საწარმოა. ჰოდა, ამ საწარმოთაგან ზოგიერთის ხელმძღვანელები უფრო მეტს ზრუნავენ გეგმის შესრულებისათვის, ვიდრე იმისთვის, რომ ქალაქს კამკამა, ფირუზი ცა დაჰნათოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ხორციელდება ღონისძიებანი ჰაერის, წყლის სიწმინდის დაცვის გაუჯობესებისათვის, ჯერ კიდევ არის მავნე ნარჩენებით ატმოსფეროს გაჭუჭყიანების შემთხვევები.

ბევრი რამ კეთდება გარეგნულად ჩვენს მშობლიურ წარმოში — ი. ბ. სტალინის ხელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანაში

კაცობრიობას ერთი პლანეტა აქვს

(დასასრული)

ადამიანისათვის ტყე წყარო ეგრეთწოდებული თანამდევი სარგებლობის სასურსათო და სანელ-ლეული პროდუქტებისა. მათი დიდი რეზერვები კი მთის ტყეებშია მოქცეული.

საქართველოს მთის ტყეებს შეუძლიათ შეიტანონ და უნდა შეიტანონ კიდეც საგრძნობი წვლილი სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, რომლის შემუშავება სკკპ XXVI ყრილობამ დასახა, ჩვენ პრაქტიკულად უკვე შევუდექით ჩვენს საწარმოებში მეთევზეობის, მეფუტკრეობის, მესოკოეობის განვითარებას, ველურად მოზარდი ხილ-კენკრისა და სამკურნალწამლო მცენარეების დამზადებას და სხვ.

ე. ე. სიროეჩკოვსკი,

პროფესორი

სსრ კავშირში დაახლოებით 150 ათასი სახეობის ნაღირი ბინადრობს. მატერიის ყველაზე მაღალორგანიზებული და რთული ფორმა — ცხოველი ბიოსფეროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობაში, ჯანმრთელობის დაცვაში, სოციალურ სფეროში. მაგრამ ყოველწლიურად იზრდება იმ სახეობებისა და ფორმების რიცხვი, რომლებსაც გადაშენება ემუქრება. „სსრ კავშირის წითელ წიგნში“ უკვე შეტანილია ხმელეთის ხერხემლიანთა 154 სახეობა და ქვესახეობა, ამასთანავე ცხოველთა ყოველი სახეობა-ქვესახეობა წარმოადგენს ევოლუციის უნიკალურ შედეგს. მეძკვერეობითი თვისებების განუმეორებელი შეხამების, რაც ნებისმიერი გენოტიპის დაკარგვას აუზარალებელს ხდის. სწორედ ამიტომ არის, რომ ცხოველთა სამყაროს დაცვის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურად გვესახება.

ყველაფერი უნდა ვიღონთო, რათა რაც შეიძლება მალე კოლექტიურად შევქმნათ კომპლექსური კონსტრუქციული მეცნიერული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს საჭირო ინფორმაციას ცხოველთა სამყაროს ცალკეული ჯგუფების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ ქვეყნის ცხოველთა დაცვის, მომრავლებისა და რაციონალური გამოყენების სტრატეგიისა და ტაქტიკის, კონკრეტულ ეკოლოგიურად დასაბუთებულ რეკომენდაციებთან შეხამებით. ასეთი შემაჯამებელი დოკუმენტი — „სსრ კავშირის ცხოველთა წიგნი“ უნდა შეიქმნას როგორც მთლიანად სსრ კავშირისათვის, ისე ცალ-ცალკე ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკისათვის (მოკავშირე რესპუბლიკების „ცხოველთა წიგნები“).

„ცხოველთა წიგნები“ საფუძველი გახდება ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო მართვის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შესაქმნელად, ისინი მოგვეცემიან იმ „დასაყრდენ წერტილად“, რომლებიც ესოდენ საჭიროა მისი კონტროლის, დაცვისა და რაციონალური გამოყენებისათვის.

ლ. კ. გაბუნია,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ბიოსფერს განვითარების ხანგრძლივი პროცესის გზაზე ყოფილა კრიზისული სიტუაციები, რომლებსაც თან ახლდა გლობალური ეკოსისტემათა სტრუქტურის ღრმა ცვლილებები. ამას უდავოდ მოწმობს პალეობიოლოგიის მიერ შეძენილი უდიდესი მოცულობის ემპირიული მასალა გეოლოგიური ქანის მანძილზე მაკროსისტემათა ცვლის შესახებ.

მეოთხეული პერიოდის გარიჟრაჟზე ადამიანის გაჩენისა და ბიოსფეროზე მისი გავლენის განუწყვეტელი გაძლიერების გამო ბიოსფეროს ფუნქციონირება დიდად ხდება დამოკიდებული აგრეთვე მძლავრ ანთროპოგენურ ფაქტორზე. ადამიანის საწარმოო საქმიანობა საფრთხეს უქადის ბიოსფეროს თავისთავადი რეგულაციის უნარს.

გეოლოგიური წარსულის ეკოლოგიური კრიზისების მიზეზების კვლევა გვიჩვენებს, რომ ეს ხდება ნაყოფიერია მხოლოდ სისტემური მიდგომის პირობებში. ასეთი კვლევა ფრიად საგულისხმოა, ვინაიდან იგი გვიჩვენებდა ერთგვარ მოვლენად გარემოს დგომარეობის გლობალური ეკოლოგიური შეფასებისა და ბუნებაში მიმდინარე ძირითადი ტენდენციების განსაზღვრისადმი აწლანდელი მიდგომის გამოსახატავად.

ა. ბ. კიკნაძე,

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვანაირდაცვის“ გენერალური დირექტორი

საქართველოს ბუნების მარგალიტი — შავი ზღვის სანაპირო — საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელის საერთო კუთვნილებაა. ზვირთცემის დამანგრეველი მოქმედებისაგან სანაპირო ზონის დაცვა საკურორტო ზონებისა და ტურიზმის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ეს პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება კოლხეთის დაბლობის წყლისპირა მიწების დაშრობას, რომლის სამუშაოებიც ფართოდ გაჩაღდა უკანასკნელ წლებში.

ათობით წლის მანძილზე ცალკეული სამინისტროები და უწყებები დაქსაქსულად ეწეოდნენ ნაპირის გამაგრების სამუშაოებს, მაგრამ მათ ვერ მიიღეს მოსალოდნელი ეფექტი, ვინაიდან დაარღვიეს ნაპირის ფორმირების ბუნებრივი მიმდინარეობა. მსგავსი ლოკალური სამაგრები ჩვეულებრივ წარმოადგენენ ძვირადღირებულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს, და, როგორც წესი, იწვევენ მთელ რიგ თანამდევ უარყოფით შედეგებს, როგორიც არის მაგალითად მომიჯნავე ნაპირების ჩამორეცხვის გაძლიერება, ბუნებრივი პლაჟების გამწვრილება, ბუნებრივი ლანდშაფტის დარღვევა და ა. შ.

სწორედ ამიტომ გადაწყდა შექმნილიყო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვანაირდაცვა“, რომელშიც შედიან სამეცნიერო, საპროექტო, სამშენებლო და სარემონტო ორგანიზაციები. გაერთიანება არა მარტო აკვირდება, სწავლობს, ამოდელებს და გამოსცემს პრაქტიკულ რეკომენდაციებს, არამედ აგრეთვე წარმოადგენს ერთიან შემკვეთსაც და კონტროლს უწევს სამუშაოთა ხარისხს. ჩვენ გვაქვს სანაპიროს სხვადასხვა წერტილში დისლოცირებული ექვსი რეჟიმულ-კვლევითი სადგური. ისინი ახორციელებენ მეთვალყურეობას მთელი სანაპირო ზონის მდგომარეობისადმი. ასეთ გაერთიანებათა შექმნა ბუნების დაცვის საქმიანობის ეფექტიანი ორგანიზაციული ფორმაა.

5. ადამიანის ჯანმრთელობა კაცობრიობის ჯანმრთელობაა

ნ. პ. დუბინინი,

აკადემიკოსი.

ადამიანის ჯანმრთელობა დამოკიდებულია მისი ქსოვილებისა და ორგანოების ყველა უჯრედშიგენეტიკური პროგრამის ნორმალური ფუნქციონირებაზე. გენეტიკურ პროგრამას ყოველი ადამიანი მეძკვდრეობით იღებს მშობლებისაგან.

გარემო, რომელიც ადამიანებს აკრავს, თანდათან აგროვებს აგენტებს, რომლებსაც უნარი შესწევთ შეაღწიონ ჩანასახის უჯრედებში და დააზიანონ იქ დნმ-ის მოლეკულები. ასეთ აგენტებს გარემოს მუტაგენებს უწოდებენ. ზოგიერთი მუტაგენი მხოლოდ ცალკეული ლოკალური ტერიტორიების, რეგიონებისათვის არის დამახასიათებელი, ბევრი კი ყველგან არის გავრცელებული. გლობალურ მუტაგენებს განეკუთვნება უწინარეს ყოვლისა აქტიური საერთები, რომლებიც ატმოსფეროს აჭუჭყიანებენ.

როცა ბიოსფეროში მრავლად არის მუტაგენები, უყოყმანოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მუტაციების გავლენა და, მაშასადამე, გენეტიკური ტვირთი მოსახლეობაში იზრდება, ეს ხდება არა მარტო ლოკალურად, არამედ ყველგან, ყველა ქვეყნისათვის, ჩვენი პლანეტის მოსახლე ყველა ხალხისათვის.

ამჟამად სიკვდილიანობის მიზეზებს შორის მთელ რიგ რაიონებში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების და კიბოს შემდეგ მესამე ადგილზე გადის მემკვიდრეობითი დაავადებების გავლენა. ვფიქრობ, რომ მთლიანად კაცობრიობისათვის (ეს გაცილებით უფრო სერიოზულია, ვინემ არსებულ ინფექციურ დაავადებათა ნებისმიერი ფორმა.

ეჭვი არ არის, რომ კაცობრიობის, გენეტიკისა და მედიცინის წინაშე დადგა განუზომელი მნიშვნელობის ამოცანა. მეცნიერება უნდა გაერკვეს მოვლენის მიზეზებში და გამონახოს დაცვის ხერხები.

ნ. ა. ჯავახიშვილი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ამ ბოლო წლებში ადამიანის ორგანიზმზე ნავთობმოპოვების გავლენის საკითხი საქართველოსათვის აქტუალური გახდა. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიის განყოფილების თანამშრომლებმა შეისწავლეს, თუ რა გავლენას ახდენს მოსახლეობაზე ნავთობის საბადოებში მიმდინარე სინენერო-ტექნიკური სამუშაოებ ი. კვლევა მოეწყო ლანჩხუთის რაიონში, სადაც უკვე 30 წელია წარმოებს ნავთობმოპოვება და გარდაბანში, სადაც მისი მოპოვების ხანგრძლივობა ხუთ წელიწადს არ აღემატება.

სამედიცინო გამოკვლევამ ცხადყო, რომ ნავთობმოპოვების, აგრეთვე საძიებო ბურღის სამუშაოების მონაწილეთა 76 პროცენტი პრაქტიკულად ჯანმრთელია, ხოლო გამოვლენილი ქრონიკული დაავადებები არ არის დაკავშირებული პროფესიასთან და შრომის პირობებთან. მაშასადამე, არ გამოვლინდა სარეწაოს უარყოფითი გავლენა. 30 წლის მანძილზე ნავთობმოპოვებას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია არც დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე. სისხლის გამოკვლევამ ცხადყო, რომ იმ პირთა, ვინც წენათ მუშაობდა, ან ამჟამად მუშაობს ნავთობმოპოვებაზე, რამდენადმე შემცირებული აქვთ კალციუმის შემცველობა ერითროციტებში და მომატებული აქვთ ნატრიუმის შემცველობა სისხლის პლაზმაში, მაშასადამე, მათ დაჰქვეთებიათ ჟანგბადის შთანთქმის უნარი. მაგრამ ეს მაჩვენებლები ნორმის ფარგლებშია, არ მიგვანიშნებენ რაიმე პათოლოგიის, და მაშასადამე არ გვაძლევენ შეშფოთების საფუძველს, თუმცა ისინი უნდა გაგითვალისწინოთ შემდგომში შესაძლო არასასურველი შედეგების პროფილაქტიკის მიზნით.

ლ. ნ. მატარაძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს უფროსი

ქვეყნად ას მილიონობით ადამიანი მოგზაურობს. მარტო საბჭოთა კავშირში წელს ტურისტად იმოგზაურა 172 მილიონმა კაცმა, თუ არ ჩავთვლით უცხოელ ტურისტებს. ეს ძალზე ბევრია და უამრავი ტურისტული კომპლექსი სჭირდება. მე აღარაფერს ვამბობ არაორგანიზებულ ტურისტებზე, რომელთა რიცხვი განუწყვეტლივ მატულობს.

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს ორი საკითხი — ერთი მხრივ, ბუნების დაცვის კეთილშობილური საქმე, და, მეორე მხრივ, თანამედროვე ადამიანის მოგზაურობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

ჩვენს რესპუბლიკას დიდი ხანია სჭირდება ტურისტული ობიექტების განლაგების გენერალური სქემა. ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს ბუნების დაცვის ამოცანებიც. საჭიროა აღიკვეთოს უწყებრივი არეულობა. სწორედ ამიტომ, წინადღიდან შემომაქვს კონფერენციის რეკომენდაციებში შევიტანოთ პუნქტი იმის თაობაზე, რომ ყველა უწყება, განსაკუთრებით ისეთები, როგორიცაა საკავშირო პროფსაბჭოს და რეკრეაციის საკითხებზე უშუალოდ მომუშავე სხვა უწყებები, ითვალისწინებდნენ გარკვეულ თანხებს ბუნების დაცვის საჭიროებებისათვის.

აქ კამათი რეკრეაციული მიზნებისათვის ნაკრძალების გამოყენების თაობაზე. მე მომაჩნია, რომ შეიძლება მათი გამოყენება ამ დანიშნულებით. ოღონდ სასტუმროები ნაკრძალების ფარგლებს გარეთ უნდა შენდებოდეს. ამასთან თითოეული ნაკრძალის ტერიტორია უნდა დაიყოს ზონებად — ტურისტულ, ზომიერი პასიური დასვენების, აქტიური დასვენების ზონად. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას აღკვეთილებზეც. მაგრამ დასვენებისათვის ყველაზე შესაფერისად მიმაჩნია ეროვნული პარკები, რომელთა დაყოფაც ალბათ ასევე მოგვიწევს რამდენიმე ფუნქციურ ზონად.

ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის ორგანიზაციამ ბევრი რამ უნდა იღონოს საიმისოდ, რომ ფეხი აუწყოს საუკუნის მოთხოვნებს.

გ. კ. სულაქველიძე,

პროფესორი

როცა ვიკვლევთ ატმოსფეროს სიწმინდეს ისეთ შედარებით პატარა რეგიონში, როგორიც საქართველოა, რომელითაც ბოროტმქმედთა მიერ ეს უზარმაზარი თანხაა მითვისებული, თავად აწერდნენ ხელს. როგორ ავხსნათ ეს? „ამ ბოროტმქმედებაში მათს როლს და მონაწილეობას ამასთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება გაარკვევს, მაგრამ რაც უნდა დადგინდეს, ერთი რამ ამთავითვე ცხადია: ნამდვილ ხელმძღვანელს, თავის საქმის მცოდნეს და გულმტკივარს ეს არ ეპატიება. ეს დანაშაული ხომ მათ თვალწინ ხდებოდა? ხელმძღვანელმა, რომელიც თავისი მეურნეობის ყველა რგოლს, ყველა უბანს უნდა სწვდებოდეს, როგორ ვერ შენიშნა ასეთი აშკარა დანაშაული? ეს მით უფრო სამწუხარო და ნიშანდობლივია, რომ მეურნეობის დირექტორი ი. თარბა ასეთივე ხასიათის თანამდებობრივი დარღვევებისათვის იყოს განთავისუფლებული ამავე რაიონის ჯალის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოვალეობისაგან. მაშინ, 1974 წელს, აღნიშნულ მეურნეობაში ფინანსური დისციპლინის დარღვევის გამო მეურნეობამ დიდი ზარალი ნახა, მაგრამ ეს ძირითადად ხდება ჩამთრობით, როცა თოვლის საფარი იცავს ნიადაგს ეროზიისაგან და ფილტრავს ჰაერის მიწისპირა ფენებს.

ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფეროს გაჭუჭყიანებას ძირითადად განაპირობებენ სამრეწველო აეროზოლების საკუთარი წყარონები, ხოლო რესპუბლიკის დედაქალაქში ასეთი წყაროა აგრეთვე ტრანსპორტიც. უნდა მივადწიოთ, იმას, რომ უახლოეს ხანს რესპუბლიკის დიდ საწარმოებში დაიდგას საწმენდი ფილტრები. კარგი იქნებოდა, რუსთაველის პროსპექტის მაგალითისამებრ, განგვეტვირთვა ცენტრალური ქუჩები შეკნიშნებისაგან, რომლებიც მომუშავე მოტორების რეჟიმის შეცვლის შედეგად გაცილებით ზრდიან ავტომანქანის გამონაბოლქვი აირების რაოდენობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქალაქის გამწვანებას, შერჩეულ იქნეს ისეთ სახეობათა ხეოვნური ნარგავები, რომლებიც ნთქავენ მავნე და მოცემული რაიონისათვის სპეციფიკურ ელემენტებს.

6. გიყვარდეს ბუნება— ეს მოვალეობა კი არა, სულიერი მდგომარეობაა

ო. ე. ჩერქეზია,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ტექნიკური პროგრესის მძაფრი შემოტევა ყველა პირობას ქმნის საზოგადოების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მაგრამ ამასთანავე იგი განაპირობებს ბუნებრივი რესურსების უფრო ინტენსიურ ექსპლოატაციასაც, ღრმა გავლენას ახდენს გარემო ბუნებაზე. აი რატომ არის, რომ ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და რეპროდუქციის, გარემოზე წარმოების გავლენის პროგნოზირებისა და გადაწყვეტილებათა მომზადებისას მისი შესაძლო შედეგების ალრიცხვის სრულყოფის საკითხებს ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება და უდიდესი უყურადღება ეთმობა.

ადამიანისა და ბუნების თანამოქმედებას არაერთგზის გამოუწვევია მკვეთრი დარღვევები გარემოში. მაგრამ თუ ასეთი სიტუაციები წინათ შედარებით იშვიათი იყო და შეზღუდული ხასიათი ჰქონდა, ჩვენს დროში ადამიანისა და ბუნების ურთიერთგავლენის მასშტაბი მკვეთრად შეიცვალა.

კაცობრიობამ, ბოლოს და ბოლოს, შეიგნო, რომ ჩვენს პლანეტაზე და მის ირგვლივ არსებული წონასწორობა ფიზიკურსა და ბიოლოგიურ ელემენტებს შორის მერყეევია და მძაფრმა ტექნოლოგიურმა შეტევამ, რომელიც ჩვენ წამოგიწყეთ, არ უნდა დაარღვიოს იგი. ყველა ქვეყნის სპეციალისტები ადგანან საერთო აზრს: თუ მომდევნო ათწლეულებში ტექნიკური ცივილიზაციის მატარებლები არ მოიმქმედებენ ენერგიულ ღონისძიებებს გარემოს გადასარჩენად, გამოუსწორებელი მდგომარეობა შეიქმნება.

დიდი ხანია უმნიშვნელოვანეს ამოცანად არის მიჩნეული ადამიანებისათვის ბუნებრივი ღირებულების მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების გამომუშავება. შეიძლებოდა დაგვიასხელებინა ძველი ეგვიპტის მაგალითი, სადაც მიოლოგიური რესურსების შესანარჩუნებლად ან ეროზიისაგან ნიადაგის დასაცავად ამა თუ იმ სამუშაოს შესრულებას თან ახლდა მისი მნიშვნელობის ახსნა-განმარტება.

ბუნების დაცვის ამოცანების პროპაგანდას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბუნების დაცვის პირველი საზოგადოებანი, რომელთა შექმნა დაიწყო სხვადასხვა ქვეყანაში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე.

გარემოს დაცვის საკითხებს და, კერძოდ, ბუნების დაცვის დარგში განათლებას ომისშემდგომ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი სპეციალიზებული დაწესებულებანი. იუნესკო-იუნეპის საერთაშორისო პროგრამა განკუთვნილია ბუნების დაცვის დარგში განათლებისათვის, ანუ იმ საქმიანობისათვის, რომლის მიზანია გაავრცელოს ბუნების დაცვის კონცეფციები და ცოდნა მოსახლეობას შორის. ოთხი წლის წინ, 1977 წლის ოქტომბერში თბილისში გაიმართა პირველი სამთავრობათაშორისო კონფერენცია გარემოს დაცვის დარგში განათლების საკითხებზე, რომლიც იუნესკომ მოიწვია. იუნესკოსთან ერთად, კონფერენციის მონაწილეებისადმი მისალმებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ გარემო ბუნებისადმი მზრუნველი, ყურადღებიანი დამოკიდებულების გამომუშავება, მისი დაცვა-გაუმჯობესებისათვის საჭირო ცოდნისა და ჩვევების გაფართოება განსწავლა-განათლების, კადრების მომზადების საერთო სისტემის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს. ამ კონფერენციამ უმთავრესი ყურადღება მიაპყრო ორ ძირითად პრობლემას: პლანეტის მოსახლეობას შორის იმ იდეის ფართო გავრცელებას, რომ უნიკალურია ჩვენი გარემო, რომელიც ფიზიკურ-ქიმიური, ბიოლოგიური, სოციალური და სხვა ფაქტორების თანამქმედების რთულ შედეგის წარმოადგენს; და ყველა ასაკის, ყველა სპეციალობისა და ყველა სოციალური ჯგუფის ადამიანებისათვის სწორი ქცევის ჩვევების გამომუშავება, რაც გამორიცხავს გარეშე ბუნებისადმი წმიდა წყლის უტილიტალურ, არარაციონალურ ან დაუდგენარ დამოკიდებულებას.

ამ პრობლემების ეფექტიან გადაჭრაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას, ბუნების დაცვის კულტურულ-საგანმანათლებლო ასპექტებს.

არაფორმალური განათლება მოწოდებულია უზრუნველყოს მოსახლეობის შეგნების ისეთი დონე, რომ გარემოსადმი მზრუნველი დამოკიდებულებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა მთელი სიცოცხლე თან სდევდეს ყოველ ადამიანს. იგი ითვალისწინებს ისეთი ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებას, რომელიც გულისხმობს გარემოს პრობლემების აქტიურ დაინტერესებას მოსახლეობის უფართოეს ფენებს შორის.

ბუნების დაცვის დარგში განათლებას ჩვენს ქვეყანაში უდიდესი შესაძლებლობანი აქვს სასკოლო და საოჯახო ასწავლის ყველა საგნეფურზე. პოლიტექნიზაცია ხელს უწყობს მოსწავლეებისათვის გარემოს მიმართ რაციონალური დამოკიდებულების ჩვევების გამომუშავებას როგორც წარმოების პირობებში, ისე ყოფაცხოვრებაში. ბევრი რამ კეთდება პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაშიც. სპეციალური „კურსის საგნების სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ენარჩენო ტექნოლოგიების შემუშავებას, წყალსასარგებლო დაბშულ ციკლებს. ანალგზრდა მუშებს ასწავლიან გამოიყენონ ბუნების დაცვის პრინციპები წარმოების პროცესში დაპროექტების სტადიიდან მზა პროდუქციის მიღებამდე. ბუნების დაცვაცავად მასობრივ ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევიან ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებანი. ბევრი რამ კეთდება უმაღლეს სასწავლებლებში. ბიოსფეროზე ადამიანის მზარდი გავლენისა და ბუნების შესახებ ცოდნის გასავრცელებლად მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა აქტიურ მუშაობაზე, ბუნების დამცავ საქმიანობაში ყოველდღიურ პრაქტიკულ მონაწილეობაზეა დამოკიდებული გარემო ბუნების მდგომარეობა, ჩვენი წარმატებანი ბუნებათსარგებლობის სრულყოფის საქმეში.

გ. ი. ფანჯიკიძე,

მწერალი

„დედამიწა კი არ ეკუთვნით ადამიანებს, ადამიანები ეკუთვნიან დედამიწას. ყოველივე, რაც დედამიწას. მოუვა, მოუვათ მის ზურგზე მცხოვრებთაც“ — ეს ლაკონიური, ნათელი და ყოველისმომცველი ბრძნული სიტყვები ინდიელთა ტომის უძველეს ბელადს ეკუთვნის.

რა მასშტაბითაც უნდა ხორციელდებოდეს სახელმწიფო ღონისძიებანი გარემოს დასაცავად, ამაოდ დავშვებენთ, თუ ამ მაღალ მისიას — ბუნების ხსნის მისიას — არ გაანალიზებს მთელი სიგრძე-სიგანით ყოველი ადამიანი. საჭიროა სრულად გარდაკქმნათ ჩვენი მუშაობა ამ მიმართულებით. ლიტერატურამ, ჟურნალისტიკამ, პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ უნდა შეიმუშაონ სულ სხვა ხერხები და მეთოდები, რათა ყოველი ადამიანის ცნობიერებაში ჯეროვანი ადგილი დაიკავოს ბუნების სიყვარულმა, მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვამ, მის სიმდიდრეთა გამრავლებამ. უნდა ვებრძოლოთ დილეტანტზმსა და არაპროფესიონალიზმს ამ საქმეში, და, რაც ყველაზე მთავარია, ეს ფასეულმწიფოებრივი საქმე უნდა მივანდოთ ნიჭიერ ადამიანებს, რომელთა საუბრები, სტატიები თუ მხატვრული ნაწარმოებები ყველაზე ეფექტიან გზას გამონახავენ ადამიანთა გულისაკენ.

დღეს ჩვენ სულ სხვაგვარი მუშაობა უნდა ვაწარმოოთ ბავშვებთან. ბუნების სიყვარული, მისი მოვლისა და გადარჩენის სურვილი და უნარი, გარემოს შენახვა-რჩენებისათვის შეგნებული პასუხისმგებლობის გრძნობა — ყოველივე ეს საბავშვო ბაღიდან უნდა იწყებოდეს.

ახლა განსაკუთრებით საჭიროა, რომ სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელ თანამდებობებზე ადამიანთა დანიშვნის დროს ხელმძღვანელის სხვა ღირსებებთან ერთად მხედველობაში იქნეს მისი დამოკიდებულება ბუნების მიმართ. მიელი სერიოზულობით უნდა გავაანალიზოთ, თუ როგორ მიუდგება კანდიდატი ამ სახელმწიფოებრივ და საკაცობრიო პრობლემებს.

ადამიანი ბუნების გვირგვინია. და რაოდენ ტრაგიკული იქნება, თუ იგი გაანარცდა, გაანძყურებს, მოსრავს და საბოლოოდ მოსპობს თავის გამჩენ დედაბუნებას. ალბათ, ადამიანებს არსად ისე არ მართებთ ერთსულოვნების გამოჩენა, როგორც ამ დიადი, კეთილშობილური, საარსებო მნიშვნელობის პრობლემის გადაჭრის საქმეში. წარმოიდგინეთ რომ დედამიწა ერთი ვეებერთელა ხომალდია, რომელსაც დაახლოებით ოთხი მილიარდი მგზავრი მიუყავს და ამ მგზავრთაგან თითოეული მოვალეა ყოველნაირად იზრუნოს თავისი გემის უშიშროებისათვის.

ს. პ. კაპიცა,

პროფესორი

მთავარი გარემოება, რომელთანაც ახლა გვაქვს საქმე — ეს არის ადამიანთა ცნობიერების შეცვლა, გარემოსადმი, ბუნებისადმი მათი დამოკიდებულების შეცვლა. ადამიანს უნდა ეზრდიდეთ უკვე სკოლის მერხიდან, უნდა შეეგიმუშაოთ ისეთი ფსიქოლოგიური გეზი, რომ მას პატარაობიდანვე ჩავუნერგოთ ბუნების სიყვარული, შეეუქმნათ ზარმოდგენა არა მარტო ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიისა თუ სხვა მეცნიერებების შესახებ, არამედ იმის შესახებაც, რომ ყველა ეს მეცნიერება არის მეცნიერებანი ადამიანის შესახებ, მეცნიერებანი ბუნების შესახებ.

ჩვენი განათლება — როგორც სასკოლო ისე უმაღლესი — სპეციალიზაციის პრინციპზეა დაფუძნებული. ამიტომ უსათუოდ უნდა გადავჭრათ დისციპლინათშორისი კვლევის, უნივერსალური განათლების პრობლემა.

ამ მხრივ საქართველოს გამოცდილებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ შექმნილია ქვეყანაში ერთ-ერთი პირველი ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი. ჩვენს რესპუბლიკაში სერიოზულად მოჭკიდეს ხელი საზოგადოებრივი აზრის, საზოგადოებრივი შეგნების ჩამოყალიბების დიდმნიშვნელოვან საქმეს, ეწევიან ბუნების დაცვის ღონისძიებათა გამიზნულ, თანამიმდევრულ პროპაგანდას, საჭიროა ასეთი მუშაობა ყველგან წარმოიქმნას.

გ. ა. ალიევი,

აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

კავკასია დედამიწის ბუნების მრავალფეროვნების საუკეთესო ეტალონია. აქ არის ჩვენი პლანეტის თერმიერი კლიმატური სარტყელიდან მთლიანად ცხრა და ნაწილობრივ მეათე სარტყელი. აქ გაკეთებით უკეთ, ვიდრე მსოფლიოს სხვა რომელიმე ნაწილში, წარმოდგენილია ნიადაგისა და მცენარეული სამყაროს ვერტიკალური ზონალობაც. ამიტომ ჩვენში განსაკუთრებით მწვავედ დგას მიწისა და წყლის რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების საკითხი.

მთის რეგიონებში გარემოს დაცვა უფრო რთულია, ვიდრე დაბლობზე. აქ მიწათსარგებლობა დაკავშირებულია ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა ლანდშაფტი, კლიმატური პირობები, რელიეფი, სხვადასხვა სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ობიექტები. მიწის ფონდის დაცვა ბრადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, რადგან მთის რაიონებში ინტენსიურად მიმდინარეობს ეროზიული პროცესები, ხოლო დაბლობში მნიშვნელოვნად ვრცელდება ნიადაგის დაწალშება.

მთაში ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ნაკადი მეთოდია მოტყეევება, აგრეთვე ტერასირება. საჭიროა მთელი სეროიზულობით მოვეკიდოთ ტყის გაშენებას მთის ფერდობებზე და ტყის ზოლების შექმნას დაბლობ რაიონებში.

ჩვენში არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება, საკვირველია, მაგრამ ამერკავკასიის ტერიტორია, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს გარდა, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე გვალვიანი რაიონია. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი ნაწილი აქ სარწყავ მიწათმოქმედებას ეფუძნება. ნათელია, რომ მტკნარი წყალი სულ უფრო და უფრო დეფიციტური ხდება, მაშასადამე უკვე ახლა საჭიროა სერიოზულად მივიფიქროთ და შეეიმუშაოთ გაჭუჭყიანებისაგან წყაროების დაცვის ღონისძიებანი და ეკონომიურად ვხარჯოთ წყალი.

გ. დ. განძელაძე,

პროფესორი

ატმოსფეროს გაჭუჭყიანების მთავარი წყაროა სამრეწველო საწარმოები და ტრანსპორტი. მრეწველობაზე არაფერს ვიტყვი, აქ ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება, ამ საქმისადმი აქტიური კონტროლი ხორციელდება. მართალია, რუსთავისა და ზესტაფონის ცალკეულ ჯერჯერობით მთლიანად არ არის მოწმენდილი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ საქმე ადგილიდან დაიძრა. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ავტოტრანსპორტის შესახებ. დიდი ხანია არსებობს დადგენილება, რომლის მიხედვითაც კატეგორიულად იკრძალება უწესივრო ძრავიანი მანქანების ექსპლოატაცია. მაგრამ სამწუხაროდ ეს დადგენილება ჯერ არ სრულდება. განსაკუთრებით წამლავენ ჰაერს სატვირთო ავტომანქანები და ავტობუსები, მათ შორის „იკარუსებიც“, რომელთა ძრავები უწესივრო მდგომარეობაშია. სრულიად გაუგებარია სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკთა იდეიფერენტულობა და უპასუხისმგებლობა, რომლებმაც არ უნდა დაუშვან უწესივრო ტრანსპორტის გასვლა ქალაქის მაგისტრალებზე.

ყოველმხრივ უნდა დავაჩქაროთ ჰაერის გამწმენდი დანადგარების მშენებლობა დიდ სამრეწველო საწარმოებში. განსაკუთრებული ზრუნვა უნდა გამოვიჩინოთ მდინარეების, ტბების, შავი ზღვის სანაპიროს სიბინძურეთა შენარჩუნებისათვის. თითოეული თბილისელის ღირსების საქმეა გაუფრთხილდეს თბილისის ზღვის სიუფთავეს.

მეცნიერებისა და სპეციალისტების სამეცნიერო და ავადმიყოფი სკა-ბაასის საგანი უნდა გახდეს მონადირეთა კავშირის სტატუსი, მისი აკმაყოფილებისა და ფუნქციების კანონიერი, ეკონომიკური და პედაგოგიური რეგლამენტირების საკითხი. ყოველმხრივ უნდა შეეიმუშაოთ ხელი ფოტომონადირეობის განვითარებას.

7. კონფერენციის რეკომენდაციებიდან:

— **მუდმივი** ყურადღება დაეთმოთ საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთობის საკითხებზე მარქსიზმის კლასიკოსთა მეძკვდრეობის შესწავლას; უფრო ღრმად გამოვიკვლიოთ ეკოლოგიური პრობლემის მეთოდოლოგიური საფუძვლები და ფილოსოფიური არსი;

— ზემდგომ ორგანოებში შეიტანოთ წინადადება ბუნების დაცვის საკავშირო კომიტეტის (სამხინსტროს) შექმნის შესახებ ამ დარგში ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელების მიზნით;

— მოვამზადოთ სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით ქვეყნის მოწინავე საწარმოებში აპრობირებული და გამოყენებული მცირენარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიების ცნობარი;

მოვაწყოთ და განუხრელად განვახორციელოთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებში ბუნებრივი რესურსების გამოყენების სისტემატური აღრიცხვა, როგორც აუცილებელი საფუძველი ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების პროგნოზებისა და გეგმების შემუშავებისათვის;

— შევიმუშაოთ ბუნების დაცვისა და ბუნებრ

საჭირო, გადაუდებელი ღონისძიებანი

საზღვარგარეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწენი, მახობრივი ინფორმაციის საშუალებები, დიდ ყურადღებას უთმობენ პოლონეთის მდგომარეობას და იქ მომხდარ ამბებს.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ჟ. მორუამ გააკეთა ოფიციალური განცხადება ამ საკითხზე. საფრანგეთის მთავრობა, თქვა მან, უარს ამბობს პოლონეთის საქმეებში ჩარევაზე და მიიჩნია, რომ პოლონეთში განხორციელებული ღონისძიებანი არ სცილდება მისი სუვერენიტეტის ფარგლებს.

„ვფიქრობ, — განაცხადა აუსტრიის კანცლერმა ბ. კრაისკემ, — რომ პოლონეთში სამხედრო წესების შემოღება უბედურების თავიდან აცილების ცდაა".

ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შ.-ფ. ნოტომბმა პოლონეთში შექმნილ ვითარებას სერიოზული უწოდა. ბელგიის მთავრობამ, როგორც მან თქვა, აბსოლუტ დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა. მიუხედავად ამისა, იგი ანგარიშს უწევს იმას, რომ ლაპარაკია პოლონეთის საშინაო საქმეებზე. სიტუაცია, დასძინა მინისტრმა, არ იძლევა საბაბს გარედან რაიმე ჩარევისათვის.

ამავე დროს ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ბრიუსელში საგანგებო სხდომაზე შეიარიბა ნატოს საბჭო მუდმივ წარმომადგენელთა დონეზე სპეციალურად „პოლონეთის ვითარების განხილვისათვის". ეს ნაბიჯი სხვა არა არის რა, თუ არა იმის ცდა, რომ ჩაერიონ საქმეებში, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ პოლონელი ხალხის კომპეტენციაში შედის.

ფრანგული „ლუმანიტე" წერს: „დედაქალაქების უმრავლესობის რეაქცია პოლონეთის ამბების გამო შემოიფარგლება იმით, რომ საქმე ეხება პოლონეთის საპაჭო რესპუბლიკის შინაურ ამბებს და რომ ყოველგვარი გარეგან ჩარევა გამორიცხული უნდა იყოს". განმარტავს რა პოლონეთის მთელ ტერიტორიაზე საბჭედრო წესების შემოღებასა და ეროვნული ხსნის სამხედრო საბჭოს შექმნას, ფრანგული ბურჟუაზიული გაზეთი „ორორი" აღიარებს, რომ ეს იყო საშინაო კრიზისის მოწესრიგების ერთადერთი შესაძლებლობა. პარიზის მეორე გაზეთ „ფიგაროს" აზრით, მიღებული ზომები პრაქტიკულად პოლონეთში მდგომარეობის განვითარების გარდაუვალი შედეგი იყო.

დასავლეთ გერმანიის „ნოიე რურ-ციტუნგის" კომენტარში ნათქვამია. ვერავინ ვერ უსაყვედურებს პოლონეთის ხელისუფალთ იმის გამო, რომ მათ სამხედრო წესები შემოიღეს ქვეყანაში ისე, თითქოს ამის საფუძველი არა ჰქონდეთ. მათი მოქმედების მიზანია პოლონეთის ხსნა ანარქიისა და ქაოსისაგან, წერს გაზეთი.

პოლონელი კომუნისტები, სახალხო პოლონეთის მთავრობა, წერს ჩეხოსლოვაკიური „რუდე პრავო", დღეს სახავენ მძიმე კრიზისიდან გამოსვლის გზას. ვ. იარუზელსკის მმართვა ხალხისადმი, მის მიერ პოლონეთის საშინაო-პოლიტიკური ვითარების შეფასება გამოხატავს ჩვენს თვალსაზრისსაც, სახალხო პოლონეთის ყველა მეგობრის შეშფოთებას. როგორც ახლა ცხადი გახდა, ჩვენ მართებულად გამოვთქვამდით ამ თვალსაზრისს უკვე მრავალი თვეა.

დღეს პოლონელი კომუნისტები მთელი ქვეყნის პატრიოტულ ძალებთან ერთიანი ფრონტით, რომლებსაც შეგნებული აქვთ თავიანთი უდიდესი პასუხისმგებლობა სოციალიზმის დაცვის საქმეში, ახორციელებენ საჭირო, გადაუდებელ ღონისძიებებს. მთ მხარეზეა ჩვენი სიმპათიები, მათ შეუძლიათ იქონიონ ჩვენი ყოველმხრივი მხარდაჭერის იმედი, წერს „რუდე პრავო".

მდგომარეობა პოლონეთში

ვარშავა. აქ ვ. იარუზელსკის თავმჯდომარეობით გაიმართა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განხილულ ქვეყანაში სამხედრო წესების შემოღებასთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაცია. მინისტრთა საბჭომ განსაზღვრა მთავრობის მუშაობის პრინციპები და ახლანდელი ვითარებიდან გამომდინარე გადაუდებელი ამოცანები.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა პრეს-კონფერენცია უცხოელი ჟურნალისტებისათვის, რომელზეც მთავრობის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა: სამხედრო წესები შემოღებულია იმასთან დაკავშირებით, რომ კონტრრევოლუციის ძალებმა შექმნეს სოციალისტური წყობილების დამხობის რეალური საფრთხე. ანტისოციალისტური ძალები, თქვა მან, ამირებდნენ საყოველთაო გაფიცვა გამოყენებინათ დროებითი მთავრობის შექმნისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის. მთავრობის წარმომადგენელმა, ახლანდელი ვითარების დახასიათებისას, განაცხადა, რომ ქვეყანაში სუფევს სიმშვიდე, „რომელსაც ვერ შევადარებთ იმას, რაც უკანასკნელ დღეებში იყო". მთელ რესპუბლიკაში მოქმედებს კომენდანტის საათი.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ოუწყებიან, რომ ქვეყნის მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ხალხისადმი ვ. იარუზელსკის მიმართვა და მის მიერ წამოყენებული ღონისძიებანი მიიჩნია ერთადერთ შესაძლებლობად, დაიცვან ქვეყანა კატასტროფისაგან და აღადგინონ კანონიერება, წესრიგი და სიმშვიდე, უზრუნველყონ სახელმწიფოსა და პარტიის ნორმალური მოქმედების პირობები.

„ტრიბუნა ლუდუს" საგანგებო ნომერში ნათქვამია, რომ სახელმწიფო ხელისუფლებამ და შეიარაღებულმა ძალებმა შეასრულეს თავიანთი მოვალეობა, შემოიღეს რა სამხედრო წესები მაშინ, როცა განსაკუთრებული საფრთხე შეექმნა ქვეყანას, მისი სახელმწიფო წყობილების საფუძვლს, როცა მტრებმა აშკარად გამოუცხადეს სოციალიზმს მკაცრი კონფრონტაცია, რომელიც უთუოდ გამოიწვევდა სისხლიღვრას. ახლანდელ ვითარებაში, წერს „ტრიბუნა ლუდუ", სიმშვიდისა და საზოგადოებრივი წესრიგის ფაქტორი უნდა გახდეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის თითოეული წევრის პოზიცია. სწორედ სამრეწველო საწარმოებში, დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობასა და გავლენაზე იქნება დამოკიდებული ატმოსფერო შრომითს კოლექტივებში, სტუდენტებსა და მოსწავლეებს შორის, უშიშროების გრძნობა და ხვალინდელი დღის რწმენა.

ქვეყნის თავდაცვის კომიტეტმა მიიღო დადგენილება სამხედრო წესები შემოიღოს რკინიგზისა და საქალაქთაშორისო ტრანსპორტზე, შახტებში, ელექტროსადგურებში, მეტალურგიულ და ქიმიურ საწარმოებში, ფოსტაში, ტელეგრაფსა და ტელეფონზე, რადიომაუწყებლობისა და სატელევიზიო სადგურებში, ნავსადგურებში, სახანძრო რაზმებში. ამ საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაკები ითვლებიან სამხედრო სამსახურში გაწვეულებად.

ქვეყანაში შეზღუდულია უცხოელი დიპლომატებისა და აკრედიტებული საზღვარგარეთელი კორესპონდენტების მიმოსვლა.

კვლავ იცავენ აეროპორტებს, გაძლიერებულია სასაზღვრო საბაჟო კონტროლი.

პოლონეთში მდგომარეობა საერთოდ კვლავ მშვიდია. შეიარაღებული ძალები, რომლებმაც მტკიცედ გაიღაშქრეს კონტრრევოლუციის ზრახვების წინააღმდეგ, სახალხო პოლონეთის კონსტიტუციური საფუძვლების დასაცავად, კვლავ მაღალ სიფხიზლეს იჩენენ.

საკდესისა და ახალი ამბების საერთაშორისო კორესპონდენტები გვაცნობინებენ



ძნელია გადაჭარბებით შეაფასო თითოეული იმ ადამიანის მოღვაწეობის მნიშვნელობა, რომელთა ცხოვრება განმსჭვალულია საკუთარი საქმის სიყვარულითა და უსაზღვრო ერთგულებით. ერთერთი ასეთი ადამიანია საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი ზურაბ სერგოს ძე ჯაფარიძე, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტი მოახმარა მშენებლობას. მისი ბიოგრაფია თვალნათლივ ასახავს რესპუბლიკის წარსულსა და აწმყოს, პირველი ხუთწლედების მშრომელთა ენთუზიაზმს, ომის ქარცეცხლიან წლებში ზურგის მებრძოლთა თავდადებას, საბჭოთა საქართველოს მშვიდობიანი აღმშენებლობითი ბრძოლის გვარდიელთა აღფრთოვანებას.

ზურაბ ჯაფარიძემ პროფესიული საქმიანობა დაიწყო 1930 წელს, როცა, ჯერ კიდევ მეოთხე კურსის სტუდენტი, შავი ზღვის რკინიგზის ტყვარჩელის ტუნს მშენებლობაზე გაგზავნეს. ერთი წლის შემდეგ, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, როგორც ინჟინერი მონაწილეობს პირველი ხუთწლედების გიგანტების რეალიზაციაში. ახალგაზრდა, ენერგიული სპეციალისტი ნაყოფიერად შრომობდა ამიერკავკასიის რკინიგზის სხვადასხვა მშენებლობაზე. იგი ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის სამშენებლო უბნის მთავარი ინჟინერია, რის შემდეგაც დანიშნეს „ტყვარჩელშახტმშენის" ტრესტის შექმნასთან, რომელსაც თვითონ ჩაუდგა სათავეში. 1956 წელს იგი რესპუბლიკაში პირველი სამშენებლო ინდუსტრიის ტრესტის მმართველია.

1957 წელს ზ. ჯაფარიძე საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილედ, ერთი წლის შემდეგ კი პირველ მოადგილედ დაინიშნა. როცა 1959 წელს უდიდესი სამშენებლო ტრესტის — ამიერკავკასიის „მეტალურგშენის" მმართველის კადრს ეძებდნენ, რომელიც, როგორც სპეციალისტი, შეძლებდა მის გაძღოლას, არჩევანი შეჩერდა სწორედ ზურაბ ჯაფარიძეზე, რომლის იმენინრული ბოროვნება ყოველმხრივ უწყობდა ხელს ტრესტის ნაყოფიერ საქმიანობას.

ტამკენტის მიწისძვრის შემდეგ ზ. ჯაფარიძეს დაევალა უზბეკეთის დედაქალაქში მთელი რიგი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მეთაურობა. მან ჩინებულად გაართვა თავი ამ ამოცანას და უზბეკეთის სსრ მთავრობის მადლობა დაიმსახურა.

1970 წლიდან იგი კვლავ ხელმძღვანელ სამუშაოზეა — საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარის მოადგილე. ხოლო 1971 წლიდან საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილეა. ამ თანამდებობაზე მან ჩვეული ენერგიით და თავდადებით იმუშავა 1975 წლამდე.

მსხვილი სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელის ძნელ მოვალეობას ზ. ჯაფარიძე წარმატებით უხამებს შემოქმედებთს მუშაობასაც, აქტიურად თანამშრომლობს ბევრ სპეციალურ ჟურნალში, მრავალი გამოგონების ავტორია.

თავისი ცხოვრების 50 [illegible] მოახმარა სამშობლოსა და ხალხს, სამსახურს ზ. ჯაფარიძემ, [illegible] მშენებელმა ინჟინერმა.

პარტიამ და [illegible] დად დააფასეს ზურაბ ჯაფარიძის მოღვაწეობა. მას ერთ-ერთ პირველს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის წოდება, დაჯილდოებულია ლენინის და „საპატიო ნიშნის" ორდენებით, მრავალი მედლით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელებით.

ზურაბ ჯაფარიძე დიდ საზოგადო საქმიანობასაც ეწეოდა. სხვადასხვა დროს იგი ყოფილა პარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების წევრი, აურჩეველიათ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და საოლქო საბჭოების დეპუტატად, იყო საქართველოს კომპარტიის XXII და XXIII ყრილობების დელეგატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

დღეს საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ზურაბ ჯაფარიძე აქტიურ შემოქმედებთს მუშაობას ეწევა, რაგორც სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს „შენინდუსტრიის" სპეციალური საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროს საქართველოს ფილიალის მთავარი კონსულტანტი.

გ. მირიანაშვილი,
საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე;
ვ. გოგოლაძე,
საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი;
ლ. მახვილაძე,
სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს „მშენინდუსტრიის" სპეციალური საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროს საქართველოს ფილიალის უფროსი.

ინჟინერი — მშენებელი

ნახევარი საუკუნე საქართველოს ხარაჩოებზე

თბილისი. საინსტრუმენტო ქარხანას ამ დღეებში არსებობის 25 წელი შეუსრულდა (დირექტორი — შ. ქოიავა, პარტბიუროს მდივანი — გ. კახიშვილი). მის კოლექტივს ბევრი რამ სასიხარულო და ახალი ჰქონდა შექმნილი და სათქმელიც. სწორედ ამ ორსასახსოვარ თარიღს დაუკავშირდა ერთი პატარა შიდა გამოფენაც, რომლის ავტორია ინჟინერი ლადო ალაკოსი.

ჯერ ლადო ალაკოსმა მოკრძალებით მიიღო მონაწილეობა საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ თვითნასწავლ მხატვართა გამოფენაში, სამხატვრო გალერეაში რომ გაიმართა. ოთხი ფერწერული ნამუშევარი წარადგინა მან და ოთხივე ექსპოზიციაში ჩართეს — ოთხივეზე ზღვა იყო გამოსახული: „ქარიშხლის წინ", „ფინეთის ყურე", „ზღვა" და „მარტობა".

ხალხური შემოქმედების სახლის სახვითი ხელოვნების სექციის გამგემ, ცნობილმა ხელოვანმა გურამ გაბაშვილმა წაახალისა თურმე ლადო, თორემ მის ყველა ნახატებს ოჯახის წევრებიც არ იცნობდნენ — ხატავდა და შეაბრუნებდა, ხატავდა და შეაბრუნებდა — ვაგლახად ვერავინ მოჰკიდებდა ხელს.

ქარხანაში რაკი ცნობილი გახდა, რომ ლადო რესპუბლიკური

ზღვა და... ზღვა

საგამოფენო დარბაზებში

გამოფენის მონაწილეა, იფიქრეს, ჩვენს კლუბსაც ხომ დაამშვენებდაო მისი ნამუშევრები, და შესთავაზეს კიდეც — აგერ ბურთი და ძოედანი, მოიტანე შენი ქმნილებები და საიუბილეო გამოფენა გავხსნათო.

ლადოს თავადაც აინტერესებდა დაგროვილი ნახატების გამოფენა, მათი ერთბაშად ხილვა და აღქმა, შერჩევა-განლაგებაც თვითონ ითავა და კლუბის ერთი კედელი მოიცავა ზღვათა სამყარომ...

დიახ, მისი მუზა ზღვა არის!

ლადო ტომით ქართველია, დედული მისი კი საბერძნეთია და ალბათ მემკვიდრეობითაც გადმოსცემია ზღვისადმი ასეთი გაბიბლიოგრაფია. მისი ავტორია — ა. ერქომაიშვილი მსმენელებს აცნობს თემატიკას, ჟანრებს, შემსრულებლებს.

ანსამბლ „რუსთაველის" ხელოვნება აღმეშენილია ახალ ფილმკონცერტში, რომელიც სატელევიზიო ფილმების სტუდიაში შექმნა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა, რეჟისორმა სოსო ჩხაიძემ. (საქინფორმი).

ნანა ლვინეფაძე.

სურათზე: გამოფენის ექსპონატი „შავი ზღვა".
ჯ. ლომაძის ფოტო.

ბალხური მელოდიები

საკაკაშვილი ფირმა „მელოდია" გამოუშვა სამოცი ხალხური სიმღერის ჩანაწერი, რომელსაც ასრულებს ანსამბლი „რუსთაველი". საქართველოს სახალხო არტისტის ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. ეს ქართული მუსიკალური ფოლკლორის პირველი ასეთი სრული ანთოლოგიაა. ხუთ ფირფიტაზე ჩაწერილია საქართველოს სხვადასხვა ეთნოგრაფიული კუთხის პოპულარული სიმღერები, აგრეთვე სიმღერების ადრე უცნობი ვარიანტები, რომლებიც კოლექტივის ხელმძღვანელმა არქივში აღმოაჩინა.

ანთოლოგიას დართული აქვს ბიბლიოგრაფია. მისი ავტორია — ა. ერქომაიშვილი. ალბომი ეძღვნება 60 წლისთავს.

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

● **ჟენევა**

აქ დამთავრდა პაგუოშის საერთაშორისო მოძრაობის შეხვედრა. მრავალი ქვეყნის, მათ შორის სსრ კავშირის თვალსაჩინო მეცნიერებმა, პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწეებმა განიხილეს ევროპაში საშუალო სიშორის ბირთვული შეიარაღების პრობლემები, ხოლო შემდეგ **ხსვადასხვა ქვეყნის პრესის,** რადიოსა და ტელევიზიის ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად — საკითხი ბირთვული ომის თავიდან აცილებაში ძასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლის შესახებ.

● **კუვეიტი**

ახლა კუვეიტში ნავთობის მარაგი შეადგენს 72 მილიარდ ბარელს. როგორც ნავთობის მინისტრმა ალი ხალიფა ასსაბაჰმა განაცხადა, ნავთობის მოპოვების ახლანდელი დონის პირობებში, აგრეთვე უკანასკნელ ხანს აღმოჩენილ საბადოთა რეზერვების გათვალისწინებით, ეს რაოდენობა საკმარისი იქნება 250 წლისათვის.

ამჟამად კუვეიტი დღეში აწარმოებს მილიონ 250 ათას ბარელ ნავთობს.

● **ვაშინგტონი**

ამერიკის ხელისუფლებამ მიიღეს გადაწყვეტილება ისრაელის საიდუმლო პოლიციას გადასცენ პალესტინელი პატრიოტი ზ. აბუეინი, რომელიც ორ წელიწადნახევარზე მეტი ხანია იტანჯება ჩიკაგოს საპყრობილეში შეთითხნილი ბრალდებით. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ უ. კლარკმა ხელი მოაწერა განკარგულებას მისი გადაცემის შესახებ და აღნიშნა, რომ ამას მოითხოვს „შეერთებული შტატებისა და ისრაელის ახლანდელი ურთიერთობა". ზ. აბუ-ეინი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოვიდა 1979 წლის ივნისში სტუმრად ჩიკაგოში მცხოვრებ დასთან. მაგრამ რამდენიმე დღეში იგი დააპატიმრეს ფედერალური სადაზვერვო ბიუროს აგენტებმა. ისინი მოქმედებდნენ თავიანთი ისრაელი „კოლეგების" თხოვნით, რომლებიც კარგა ხანია ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აქტივისტი.

ფეხბურთის ამბები

ტოკიო. აქ გაიმართა საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების გადამწყვეტი მატჩი, ერთმანეთს შეხვდნენ „ლიბერტადორესის" თასის მფლობელი ბრაზილიის კლუბი, „ფლამენგო" და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი ინგლისის „ლივერპული". წარმატება წილად ხვდათ სამხრეთამერიკელებს — 3:0.

ლონდონი. ინგლისის ჩემპიონატის მორიგი ტურის შემდეგ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში კიევის „დინამოს" მეტოქე „ასტონ ვილა" მე-17 ადგილზეა (16 შეხვედრიდან 19 ქულა). 32 ქულით ლიდერია „მანჩესტერ იუნაიტედი".

სატურნირო ორბიტა

ტანგანარიკი. ლონდონის „უემბლის" არენაზე გამართულ საერთაშორისო ტურნირში ქალთა შორის გაიმარჯვა ტოლიატელმა ეკატერინა ანკუდინოვამ. მეორე ადგილზეა ასევე საბჭოთა სპორტსმენი ეკატერინა (ალმა-ათა), ხოლო მესამეზე — ჩინელი ხუ სიაოპინი. ვაჟთა ასპარეზობაში უძლიერესი გახლდათ იაპონელი მ. მორისუგი, მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს ა. ტიხონკინმა (სსრ კავშირი) და ხ. კაძიამამ (იაპონია).

ჩოგბურთი. ქალაქ ცინცინატში გაიმართა დევისის თასის ფინალური მატჩი ამერიკის შეერთებული შტატებისა და არგენტინის გუნდებს შორის. არგენტინელებმა, რომელთა შესაძლებლობებსაც არცთუ ისე დიდად აფასებდნენ, დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მასპინძლებს. პირველი დღის ორი ერთეულთა შეხვედრის შემდეგ ანგარიში საყაიმოდ იყო — 1:1 (ამერიკელმა მაკენროემ მოუგო გელიერმო დოკუმენტს, ხოლო არგენტინელმა ლუის კლეიტონმა — როსკოუ ტანერს). გადამწყვეტი აღმოჩნდა წყვილთა ასპარეზობა, რომელიც ოთხ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. მომქანცველი ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა ამერიკელმა წყვილმა (6:3, 4:6, 6:4, 4:6, 11:9). შეჯიბრების ბოლო დღეს, როდესაც მაკენროემ დაამარცხა კლერკი და ანგარიში გახდა 3:1 ამერიკელთა სასარგებლოდ, არგენტინელებმა უკანასკნელ, მეხუთე შეხვედრაზე უარი თქვეს. ეს ამერიკელთა 27-ე გამარჯვებაა დევისის თასის გათამაშებაში, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1900 წელს და ეწყობა რეგულარულად.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

აიკრძალოს ნეიტრონული ბომბი!

● **ნორვეგია**

დედამიწის სხვადასხვა რაიონში უბირთვო ზონებისა და მშვიდობის ზონების შექმნის იდეა სულ უფრო მეტ მომხრეებს იძენს როგორც მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო წრეებში, ისე ბევრი ქვეყნის მმართველი წრეებში. დიდი ინტერესით შეხვდა საერთაშორისო საზოგადოებრიობა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის განცხადებას იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის იკისროს ვალდებულება, არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც უბირთვო ზონის მონაწილენი გახდებიან. მთელი ძალების მობილიზება, შეუნელებელი ბრძოლა, მტკიცე პროტესტი — აი ერთადერთი საშუალება, რომ თავიდან ავიცილოთ ბირთვული კატასტროფა, არ დავუშვათ დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ.

სურათზე: დემონსტრაციის მონაწილენი ოსლოს ქუჩებში. მათ მოაქვთ ლოზუნგები: „შეეჩეროთ ნეიტრონული ბომბის წარმოებას!", „ჩრდილოეთ ევროპა გადავაქციოთ უბირთვო ზონად!".
საკდესისის ფოტო.

ქრესა ადასტურებს

ცნობილი გახდა ახალი ფაქტები

ვაშინგტონი. დაწვრილებით გახდა ცნობილი, თუ როგორ ამზადებდნენ ჩილეს ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ ო. ლეტელიერზე თავდასხმას, რომელიც ბომბის აფეთქებით მოკლეს 1976 წლის სექტემბერში ამერიკის დედაქალაქის ცენტრში.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი", რომელიც იმოწმებს დაზვერვის ფედერალური ბიუროს მემორანდუმს (რომლის პირი მას ხელში ჩაუვარდა) წერს, რომ ჩილეს დინას ოხრანა, რომელმაც ტერორისტული აქცია განახორციელა, თავდაპირველად აპირებდა ლეტელიერის მოსაკლავად სასიკვდილო ნერვულ-დამადამბლავებელი გაზის გამოყენებას. როგორც სტატიაშია ნათქვამი, დინას აგენტმა ამერიკელმა ტაუნლიმ დაკითხვისას განაცხადა, რომ მან მიიღო მომაკვდინებელი გაზით სავსე პატარა კონტეინერი— გამფრქვევი, რომელიც შენიღბული იყო სუნამო „შანელის" ეტიკეტით.

მემორანდუმის შემადგენლებს, ცხადია, „დაავიწყდათ" ეხსენებინათ ის როლი, რომელიც ლეტელიერის მკვლელობაში ამერიკის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ შეასრულა, მაგრამ ამერიკის საჯაშუშო უწყების მჭიდრო კავშირი დინას ოხრანასთან აშკარად მოწმობს აღნიშნული სამმართველოს მონაწილეობას ამ პოლიტიკური მოღვაწის „თავიდან მოცილებაში".

პუბლიკაცია მით უფრო ნიშანდობლივია, რომ ამერიკის კონგრესში მთავრდება პინოჩეტის ხუნტისათვის ეკონომიკური და სამხედრო დახმარების გააქტიურების შესახებ კანონპროექტის განხილვა.

უსაფუძვლო ხმები

ნიუ-იორკი. ლიბიის საწინააღმდეგო კამპანია, რომელიც თეორმა სახლმა გაიჩაღა, **მიზნად ისახავს ლიბიისადმი სიძულვილის გაღვივებასა და საზოგადოებრივი აზრის მომზადებას** ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული აქციებისათვის ახლო აღმოსავლეთის ამ ქვეყნის წინააღმდეგ, აღნიშნავს ამერიკის კომუნისტთა გაზეთი „დეილი უორლდი".

იგი წერს, რომ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია რ. რეიგანის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული ხმები ვიღაც ლიბიელ „ტეროროისტებზე", რომლებიც ვითომ შეგზავნეს შეერთებულ შტატებში პრეზიდენტისა და სხვა ოფიციალური პირების „მკვლელობის" მიზნით. ეს მხოლოდ ერთი ნაბიჯია „ვაშინგტონის კამპანიაში, რომელიც მიზნად ისახავს ლიბიის მთავრობის დესტაბილიზაციას".

დაარღვიეს საჰაერო სივრცე

ფხენიანი. როგორც ცტაკის საააგენტო იუწყება, ამერიკული თვითმფრინავი-მზვერავი 14 დეკემბერს შეიჭრა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში კანონის ნახევარკუნძულის რაიონში. იმავე დღეს მეორე ამერიკულმა თვითმფრინავმა დაარღვია ქვეყნის საჰაერო სივრცე ქალაქ კოსონის რაიონში.

ცტაკის ცნობა შეიცავს მოთხოვნას, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ამერიკის ასეთი მტრული აქტები დემოკრატიული კორეის წინააღმდეგ.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

ლენინის ქ. 14.
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96,

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის—93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-48-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ძალისა და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, აღგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მკითხველთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყაროო — 23-66; ტყიბული — 25-82.

COMUNISTI INDEKS 66434 უე 14783 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

დეკემბრის პირველი დეკადა

ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐ და ქვეითთა მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერება-ერთთვეიერის დეკემბრის პირველ დეკადაში რესპუბლიკის საავტომობილო გზებზე ოპერატიულ მდგომარეობას უმნიშვნელო გაუმჯობესება დაეტყო:

	საქართველოს რესპუბლიკაში	ქ. თბილისში
სულ დარღვევები	17312	6739
მათ შორის ტრანსპორტს მარბიელობა მთვრალი	537	72
სიჩქარის გადაბარბაზება	4926	1357
გზაჯვარედინზე გავლის წესების დარღვევა	5214	3626
ქვეითთა მიერ მოძრაობის წესების დარღვევა	1563	424
მოხდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა	89	21
რის გამო გარდაიცვალა	19	0
დაშავდა	104	21



16 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვერემია" (მ.), 09.40 — „დილის ვარჯიში" (მ.), 10.00 — „მოამბე", 10.30 — ქართული საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მესხეთი, ჩემი მხარე", 11.00 — „გლობუსი", 11.50 — საგელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „უკან დასახვევი გზა მოჭრილია". პირველი სერია, 13.00 — მაიმაგიკის გელეკურსი, 17.00 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 17.30 — „თქვენთვის, პატარებო!" — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.50 — უმცროსკლასელთათვის — „ჯადოსნური საღებავი", 18.30 — სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან, 19.10 — ქართული მხატვრული ფილმი „რაჭა, ჩემი სიყვარული", 20.30 — „მოამბე", 21.00 — მეცნიერის სახელოვანი გზა" — აკადემიკოსი შოთა ძიძიგური, 22.00 — „ვერემია" (მ.), 22.35 — ქართული საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კონსტანტინე ლესელიძე", 22.55 — ახალი ამბები, 23.35 — კონცერტი.

მეორე პროგრამით: 17.10 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია, 17.55 — ჩვენს დიად სამშობლოში — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქი ანგარაზე", 18.15 — სტუდენტებისათვის — მასალათა გამძლეობა, 19.00 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ჩვეულებრივი დღე", „იოშკარიოლა", 19.45 — განცხადებები.

COMUNISTI INDEKS 66434 UE 14783